“ . . . მსურს გულითადად მოგილოცოთ თქვენ და მთელ ქართველ ხალხს ეს შესანიშნავი წარმატება. ამით საფუძველი ჩაეყარა გასაშლელი ანტენების სისტემათა ახალ თაობას და დამტკიცდა ახალ კონსტრუქციათა სრულყოფილება და მუშაობის საიმედოობა.

გრანდიოზულია იმის წარმოდგენა, რომ კოსმონავტები ანტენას მოაცილებენ სადგურ „მირ“-ს და გადაიყვანენ მას დამოუკიდებელ ორბიტაზე. მაგონდება ის დღეები, როცა მთელი მსოფლიო სუნთქვაშეკრული უყურებდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გახსნას კოსმოსურ სადგურ „მირ“-ზე . . .”.

დოქტორი, პროფესორი იოაჰანეს ზემღერი
(დედანის ტექსტი გერმანულია).

„ . . . კომპანია „ალენია აეროსპაციო“ ექსპერიმენტ „რეფლექტორი“-ს ჩატარებას მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევს. ამ ექსპერიმენტმა დაგვანახა პროფესორ ე. მექმარიაშვილის, როგორც შემოქმედისა და გამომგონებლის მაღალი დონე. კოსმოსურ სადგურ „მირ“-ზე მყოფმა მფრინავმა სისტემამ, აგრეთვე გვიჩვენა ქართული ინტელექტის მიერ მიღწეული ასევე მაღალი დონე . . .”.

არნოლდო კაპუცი და ლორენცო შალინო
„ალენია აეროსპაციო“ (დედანის ტექსტი იტალიურია)

„ . . . მირ“-ზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ პროფესორ მექმარიაშვილისა და მისი გუნდის მიერ საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში შემუშავებული ნოუ-ხაუ მხოლოდ თეორია არ არის. სწორედ კოსმოსის პირობებში პრაქტიკულმა გამოცდამ დაგვანახა, რომ დიდი სიზუსტის მქონე მსუბუქი კონსტრუქციების მომავალი მხოლოდ ახლა დაიწყო . . .”.

დოქტორი კლაუს-დიტერ ბერგნერი
(დედანის ტექსტი გერმანულია)

„ . . . ვულოცავთ ქართველ კოლეგებს და მთელ საქართველოს 23 ივლისის მნიშვნელოვან თარიღს, როდესაც ორბიტალურ სადგურ „მირ“-ზე პირველად გაიშალა ქართული კონსტრუქცია. მოხარული ვართ, რომ ამ დიდ საქმეში ჩვენც, თქვენი მეგობრები და კოლეგები, თქვენთან ვიდექით . . .”.

ივორ ევრემოვი
სერგეი კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია „ენერჯია“ს
გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე, „ენერჯია-GPI-სპეისის“ პრეზიდენტი.
(დედანის ტექსტი რუსულია).

„ . . . ქართველმა პარტნიორებმა შთამბეჭდავად მოკლე დროში დაასრულეს გასაშლელი რეფლექტორის აგება და მოახდინეს მისი წარმატებული გაშლა . . .”.

ვერნერ პაინცმანი
„დორნიე სატელიტენსისტემე“
(დედანის ტექსტი ინგლისურია)

„ . . . თქვენი კოსმოსური ექსპერიმენტით, თქვენ და თქვენმა კოლეკტივმა, კიდევ ერთხელ გაუსვით საზი დიდგაბარიტიანი გასაშლელი რეფლექტორების დარგში, თქვენს დიდ უნარს. თქვენ აჩვენეთ – რისი მიღწევა შეიძლება შესაბამისი ცოდნისა და ნებისყოფის არსებობის შემთხვევაში . . .”.

პროფესორი ჰორსტ ბაიერი
მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქ კონსტრუქციათა კათედრის გამგე
საავიაციო და კოსმოსური ფრენის ინსტიტუტის დირექტორი
(დედანის ტექსტი გერმანულია).

ასევე, მნიშვნელოვანია პუბლიკაცია ჟურნალში “Новости Космонавтики” (№2 (229). 2002 წ. გვ. 67), სადაც სტატიის ავტორი მ. პობედინსკაია წერდა – “. . . Рефлектор был разработан грузинскими учеными под руководством проф. Е.В.Медзмариашвили с целью установки на геостационарных спутниках связи. Эксперимент основывался на разработках, которые проводились в Грузии еще с 80-х годов на базе Сагурамо Института Космических Сооружений. . . .”.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ბენეკალური კონსტრუქტორი

- სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი
- ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
- პროფესორი
- გენერალ-მაიორი
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი



ელგუჯა მემარიაშვილი

სამეცნიერო და აკადემიური მოღვაწეობა
კოსმოსური მექანიკის, სამხედრო-ტექნიკური მეცნიერებების და
სამხედრო-საინჟინრო მეცნიერებების დარგებში

(შედგენილია ოფიციალური მასალების, საარქივო დოკუმენტების და პუბლიკაციების საფუძველზე)

ელგუჯა მეძმარიაშვილის პროფესიული მოღვაწეობის ძირითადი მონაცემები

ელგუჯა მეძმარიაშვილი დაიბადა 1946 წლის 17 აგვისტოს ქალაქ ბათუმში. 1964 წელს მან ოქროს მედალზე დაამთავრა ბათუმის № 1 სკოლა. 1969 წელს იგი წარჩინების დიპლომით ამთავრებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტს, სპეციალობით “სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა” და მას სამშენებლო კონსტრუქციების კათედრაზე ტოვებენ ასისტენტად. მიუხედავად ამისა, უკვე დაწყებული კვლევების გასაგრძელებლად, რომლის შესახებ სამეცნიერო შრომა მან სტუდენტობის წლებშივე გამოაქვეყნა, 1969 წელსვე ელგუჯა მეძმარიაშვილი, სივრცითი სისტემების სპეციალობით, ჩაირიცხა ასპირანტურაში, რომელიც დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით დაამთავრა 1972 წელს.

70-იან წლებში ელგუჯა მეძმარიაშვილი იყო “ლითონის კონსტრუქციების” კათედრის დოცენტი, ასევე იგი არჩეული იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაერთიანებული პროფესიული კავშირების კომიტეტის თავმჯდომარედ და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარედ.

სხვადასხვა დროს, შეთავსებით, ელგუჯა მეძმარიაშვილი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “სამშენებლო კონსტრუქციების” კათედრის გამგე; შემდეგ კი მის მიერ ჩამოყალიბებული ჯერ “სპეციალური კონსტრუქციების” და შემდგომ “სამხედრო-საინჟინრო შენობების, ნაგებობებისა და სპეციალური კონსტრუქციების” კათედრის გამგე.

სამხედრო-სამრეწველო სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებისა და სპეციალური დავალებების შესრულებისათვის, ელგუჯა მეძმარიაშვილი, როგორც მოსკოვის ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “კომეტა“-ს (ЦНИО «Комета») თბილისის ქვედანაყოფის უფროსი (http://biograph.ru/bank/savin_ai.htm სტრ.21) და სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი, თანამშრომლობდა თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან, საინჟინრო ჯარებთან, გენერალური შტაბის და სამხედრო-საინჟინრო აკადემიების კათედრებთან, კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსურ გაერთიანება “ენერჯია“-სთან, ხრუნიჩევის სახელობის რაკეტმშენებელ

ქარხანასთან, სხვადასხვა სამხედრო ნაწილებთან, მოსკოვის მექანიკის პრობლემების და საავიაციო ინსტიტუტებთან, ასევე დნეპროპეტროვსკის, სიკტივკარის, დუბნის, ნახაბინოს, პოდლიპკის, ხარკოვის და სხვა ქალაქების სპეციალურ სამეცნიერო დაწესებულებებთან, უნივერსიტეტებთან და ინსტიტუტებთან.

1999 – 2004 წლებში ელგუჯა მემარიაშვილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, სადაც ეტაპობრივად იყო სამხედრო მრეწველობის ქვეკომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის თავჯდომარე, ასევე საპარლამენტო თემატური უმრავლესობის ლიდერი.

ელგუჯა მემარიაშვილი იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში.

მრავალი წლის განმავლობაში მას ეკავა საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალური დირექტორის და გენერალური კონსტრუქტორის, ასევე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობები. ამჟამად, ის არის “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის” სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორი.

აღსანიშნავია, რომ სამივე ორგანიზაცია მისი ინიციატივით არის ჩამოყალიბებული.

ელგუჯა მემარიაშვილი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ელგუჯა მემარიაშვილის სამეცნიერო-სამხედრო მოღვაწეობა, როგორც სახელმწიფო სამხედრო პროგრამებისა და თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალებების სამეცნიერო მიმართულებების ავტორის, მთავარი კონსტრუქტორისა და შესაბამისი სამუშაოების ხელმძღვანელის, მოიცავს: ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის

კოსმოსური კომპლექსების; “პერშინგ - 2”-ის საწინააღმდეგო მიწისზედა კომპლექსის; სტრატეგიული შეიარაღების სისტემების მართვის მობილური საკომანდო პოსტების მახვილმიმართული კომპლექსისა და ფორსირების ოპერაციებისათვის საიერიშო სამხედრო ხიდების შექმნას; ასევე, საბრძოლო მოქმედებებისა და ბრძოლების საინჟინრო უზრუნველყოფის სამხედრო ხელოვნების მრავალ დარგს.

ამასთან, იგი არის თანაავტორი და მონაწილე კოსმოსურ ორბიტებზე, სხვადასხვა სპეციალური დანიშნულების პროგრამების განხორციელებისა და პერსპექტიული პროექტების დამუშავებისა. მათ შორის აღსანიშნავია: კოსმოსურ ხომალდ “პროგრეს-40”-ზე განთავსებული სისტემა “კრაბი”; ორბიტალურ სადგურ “მირ”-ზე აგებული სისტემა “სოფორა”; საინჟინრო უზრუნველყოფის პროექტი პლანეტა “მარსი”-ს ექსპედიციისათვის; სატელეკომუნიკაციო ორბიტალური კომპლექსი “ზერკალო კ.ს.”; “ვარსკვლავთ ომებისათვის” ორბიტალური საინჟინრო ძალოვანი პლატფორმები და კონცენტრატორები, ასევე ახალი სტრატეგიული სამხედრო თანამგზავრის შექმნის კონცეფცია დიდგაბარტიანი ორბიტალური რადიოტექნიკური სისტემების ბაზაზე.

მის მიერ დამუშავებული კონსტრუირების პრინციპები, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში, საფუძვლად დაედო სტრატეგიული კოსმოსური რეფლექტორების შექმნის ევროპული კოსმოსური სააგენტოს პროგრამას, რომელშიც ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ იტალიის (“Alenia Aerospazio”), რუსეთის (“Энергия”), ავსტრიის (“Magna”), შვეიცარიისა (“HTS”) და ესპანეთის (“Sener”) სპეციალისტები. ამასთან, წლების განმავლობაში, იგი იყო გერმანული კომპანიის “Daimler-Benz Aerospace” - “Dornier-Satellitensysteme”-ს, იტალიური კომპანიის “Alenia Aerospazio”-ს და სხვა ევროპული კომპანიების შეკვეთების და სამუშაოთა მეცნიერ ხელმძღვანელი და მთავარი კონსტრუქტორი.

ელგუჯა მემარიაშვილი, პირველად საქართველოში, არის უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულების – “საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის” (“საქართველოს სამხედრო-საინჟინრო აკადემიის”) დამაარსებელი, სადაც 2004 წელს, უმაღლესი ოპერატიულ-სტრატეგი-

ული დონის, მის მიერ შედგენილი სამამულო საგანმანათლებლო პროგრამით, განხორციელდა უფროსი და უმაღლესი წოდების ოფიცერთა სწავლება და კურსდამთავრებულთა გამოშვება.

ელგუჯა მეძმარიაშვილი არის 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების ავტორი, რომელთაგან აღსანიშნავია მონოგრაფიები ტრანსფორმირებად კოსმოსურ და მიწისზედა სისტემებში; მონოგრაფიები და ორიგინალური სახელმძღვანელოები სამხედრო-საინჟინრო და სამხედრო ხელოვნების დარგებში. მან მოამზადა, საქართველოში ამოქმედდა და ხელმძღვანელობდა სამხედრო-სპეციალურ სახელმწიფო პროგრამას, რომელიც შეეხება საქართველოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების მომზადებას თავდაცვისათვის და საბრძოლო მოქმედებების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა საქართველოს სამგანზომილებიანი ციფრული რუკა. მას შექმნილი აქვს სამამულო სამხედრო-საინჟინრო ტექნიკა.

ელგუჯა მეძმარიაშვილის, როგორც მეცნიერის, დიდი საერთაშორისო აღიარება იყო თბილისში, 2009 წლის ოქტომბერში, ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ (“ESA”) მოაწყო და, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, იტალიის, ბულგარეთის, ჩინეთის, მაღაიზიის და სხვა ქვეყნების, მსოფლიოში გამოჩენილი, 24 მეცნიერი ესწრებოდა.

ამჟამად ელგუჯა მეძმარიაშვილი ხელმძღვანელობს ევროპული კოსმოსური სააგენტოს (“ESA”) საკონტრაქტო სამუშაოს, რომელსაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ასრულებს მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტთან (LLB, Technische Universitat Munchen) ერთად, ახალი თაობის დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის შესაქმნელად.

აღსანიშნავია ის, რომ მოცემულ ეტაპზე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ფონდის გრანტით ელგუჯა მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით იქმნება პირველი ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი. ამასთან, ელგუჯა მეძმარიაშვილის ავტორობით იქმნება მსოფლიოში ყველაზე დიდი მაღის მქონე სამხედრო საიერიშო ხიდი, რო-

მელიც ტანკზეა დამონტაჟებული, და რომელიც 5–7 წუთის განმავლობაში უნდა გაიდოს გადასალახ წინააღმდეგობაზე.

მთლიანობაში, ელგუჯა მეძმარიაშვილის მოღვაწეობა მოიცავს სამ მიმართულებას – სამხედრო-ტექნიკური, სამხედრო-საინჟინრო და კოსმოსური მექანიკის დარგებს.

ელგუჯა მეძმარიაშვილი დაჯილდოებულია საქართველოს პატრიარქის ორი სიგელით, თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობის მიღებისათვის და პატრიარქის საპატიო სიგელით. იგი დაჯილდოებულია საქართველოს, საერთაშორისო, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო და საუწყებო ორდენებითა და მედლებით, მათ შორის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით და ღირსების ორდენით. მას მინიჭებული აქვს – სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია. იგი არჩეულია ქალაქ მცხეთის საპატიო მოქალაქედ.

ელგუჯა მეძმარიაშვილს – პირველს საქართველოში, მიენიჭა სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მას ასევე აქვს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, პროფესორის წოდება და გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება, იგი არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი ასევე არის სხვა აკადემიების წევრი და ჯილდოების მფლობელი. მისი ღვაწლი, ასევე, აღნიშნულია კოსმონავტიკის ფედერაციის სიგელით. ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა და ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიოს უმთავრეს ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში, მათ შორის – Who's who in the World, 2008, 2009 USA; Who's Who in Science and Engineering, 2007, 2008, 2009 USA; IBC Foremost Engineers of the World – 2008; Cambridge, England. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ იგი დასახელებულია მსოფლიოს 100 საუკეთესო მეცნიერთა შორის TOP 100 Scientists – 2008, Cambridge, England; Internacional Engineers of the year for 2008.

ელგუჯა მემარიაშვილი არის ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – “რეფლექტორის” გენერალური კონსტრუქტორი, რომელიც ორბიტალურ სადგურ “მირ“-ზე 1999 წლის 23 ივლისს გავიდა ღია კოსმოსურ სივრცეში, წარმატებული გაშლისა და სრულმასშტაბიანი გამოცდის შემდეგ 28 ივლისს ჩამოსცილდა კოსმოსურ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი საზღვარგარეთის ენციკლოპედიურ გამოცემაში, სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაში და ოფიციალურ დოკუმენტებში აღიარებულია ახალი პრიორიტეტული მიმართულების დასაწყისად კოსმოსურ ტექნიკაში, ხოლო მისი ორბიტაზე გაყვანის თარიღი შეტანილია კოსმონავტიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ქრონიკებში. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსურ სივრცეში გასვლის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფომ გამოსცა საფოსტო მარკები.

საქართველოში ყოველი წლის 23 ივლისი დაწესებულია “პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ”.

ელგუჯა მეძმარიაშვილის
სამეცნიერო ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით
მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს:

- I. 48 მეტრი მაღლის მქონე, საიერიშო ხიდის და სატანკო ხიდგამდების ახალი თაობის საინჟინრო კომპლექსის კონსტრუქციული სქემების შექმნა, კონსტრუირება, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა;
- II. ESA – ევროპული კოსმოსური სააგენტოს კონტრაქტით, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტთან ერთად, ახალი თაობის დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის შექმნა და მისი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა;
- III. საინჟინრო ნაგებობების სამხედრო გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა საქართველოში;
- IV. სახელმწიფო გრანტით, პირველი ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის შედგენა,
ასევე, ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ მზადდება —
- V. მონოგრაფია – ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები კოსმოსში და დედამიწაზე, მისი ინგლისურენოვანი ვარიანტი, რომელიც გამოიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში;
- VI. მონოგრაფია – ახალი მიდგომები სამხედრო თეორიის საკითხებისადმი, ინგლისურენოვანი ვარიანტი და მისი გამოცემა საზღვარგარეთ;
ელგუჯა მეძმარიაშვილი, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი —
- VII. ასრულებს აკადემიურ დატვირთვას
- VIII. ხელმძღვანელობს სადოქტორო დისერტაციას – ახალი ტიპის, გაზრდილი მაღლების მქონე სამხედრო ხიდების გამოყენების ხელოვნება.

- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორის
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის
- სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის • ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის • პროფესორის • გენერალ-მაიორ

ელგუჯა მემარიაშვილის

მოღვაწეობა

კოსმოსური მექანიკის, სამხედრო-ტექნიკური მეცნიერებების და
სამხედრო-საინჟინრო მეცნიერებების დარგებში

ანოტაცია

ელგუჯა ვიქტორის ძე მეძმარიაშვილის მოღვაწეობა მოიცავს:

- ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორიის შექმნას;
- თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევებს კოსმოსურ მექანიკაში;
- ტერიტორიის ომისათვის მომზადების და ბრძოლებისა და ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფას ოპერატიულ-სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე;
- სამხედრო თეორიას;
- სამხედრო და სამოქალაქო, კოსმოსური და დედამიწისეული საინჟინრო კომპლექსების შექმნას; მათ შორის, მნიშვნელოვანია:
 - რაკეტაწინააღმდეგო და წყალქვეშა ნაგების აღმოჩენის და კოსმოსური საიარაღო სისტემების, ორბიტალური და დედამიწისეული საინჟინრო კომპლექსები;
 - ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური სისტემის ორბიტალური კომპლექსები;
 - სტრატეგიული და ოპერატიულ-სტრატეგიული მოქმედებათა მართვის საკომანდო პოსტების, მობილური, მახვილმიმართული, დიდი ზომის რადიოტექნიკური საინჟინრო კომპლექსები;
 - ბალისტიკური რაკეტების, მათ შორის, “პერშინგ-2”-ის. სტარტის აღმოჩენის საინჟინრო კომპლექსები;
 - “ვარსკვლავთ ომების” კოსმოსური კომპლექსები;
 - პლანეტა “მარსის” ექსპედიციის საინჟინრო უზრუნველყოფა;
 - ორბიტალური სადგურების საინჟინრო უზრუნველყოფა;
 - სატელეკომუნიკაციო, დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორები;
 - სარადარო, დიდი ზომის კოსმოსური ანტენები;
 - საიერიშო სახიდე კომპლექსები, რომელთა მონტაჟი ხორციელდება ტანკიდან, ავტომობილიდან და ვერტმფრენიდან და, ასევე, გამყოლი სამხედრო ხიდები.

— ღია ლიტერატურაში გამოქვეყნებულია ელგუჯა მეძმარიაშვილის მონაწილეობით განხორციელებული კოსმოსური პროგრამები – კოსმოსურ ხომალდ “პროგრეს-40”-ით სისტემა “კრაბის” გაყვანა ორბიტაზე და სადგურ “მირ”-ზე სისტემა “სოფორა”-ს შექმნა.

ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობასა და სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობას შედეგად მოჰყვა საქართველოში:

- კოსმოსური მექანიკის მიმართულების განვითარება;
- სამხედრო-საინჟინრო მიმართულების განვითარება;
- საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის ჩამოყალიბება;
- საგურამოსა და ბორჯომის მთიან ზონაში უნიკალური სასტენდო კომპლექსების აგება;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში “სამხედრო-საინჟინრო შეიარაღებისა და სპეციალური კონსტრუქციების” კათედრის ჩამოყალიბება;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის შექმნა;
- სამამულო სამხედრო ტექნიკის შექმნა და შეიარაღებაში გადაცემა;
- სახელმწიფო სამხედრო – მიზნობრივი პროგრამის შესრულება, რომლის შედეგად შეიქმნა ინტელექტუალური ბაზა სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებისათვის საქართველოში და, ამასთან ერთად, საქართველოს სამგანზომილებიანი ციფრული რუკა, ასევე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კოსმოსური გადაღებების მასალების სრული ბანკი.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დაფუძნება.
- ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო და სამხედრო მოღვაწეობამ განაპირობა საქართველოში დამატებით რამოდენიმე მილიონი დოლარის ექვივალენტის ფინანსების შემოდინება, ასეულობით სამუშაო ადგილების შექმნა, უმეტეს შემთხვევაში, არატიპიური მაღალი ანაზღაურებით, ახალი ტექნოლოგიების შემოტანა, შეკვეთები წარმოებებში

და ბინათმშენებლობის დაფინანსება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მსოფლიოში საქართველოს პრესტიჟის ამაღლება ინტელექტუალური და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში წარმოჩენის გზით.

- ელგუჯა მექმარიაში არის ინიციატორი, ავტორი, გენერალური კონსტრუქტორი და ორგანიზატორი ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნისა, ორბიტაზე გაყვანის უზრუნველყოფისა და მისი ღია კოსმოსურ სივრცეში წარმატებული გამოცდისა, რის შემდეგ ქართული კოსმოსური ობიექტი – “რეზლექტორი”, გადავიდა დამოუკიდებელ ორბიტაზე და იქცა ღვლამიწის პირველ ქართულ თანამზავრად. ეს ისტორიული მოვლენა საქართველოში ოფიციალურად აღინიშნება ყოველი წლის 23 ივლისს, როგორც “პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღე”.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი შეტანილია მსოფლიოს ენციკლოპედიურ გამოცემებში, როგორც ახალი ტექნოლოგიების დასაწყისი კოსმოსურ ტექნოლოგიებში, ხოლო მისი კოსმოსში გამოცდის წარმატებული განხორციელების თარიღი აღნიშნულია მსოფლიო კოსმონავტიკის ძირითადი ქრონიკების ჩამონათვალში.

- ელგუჯა მექმარიაში მდებარეობის განსაკუთრებული შეფასებაა ის, რომ იგი კონტრაქტებით ასრულებდა სამუშაოებს ცნობილ ევროპულ კომპანიებთან – “Daimler-Benz Aerospace” – “Dornier-Satellitensysteme”-სთან, “Alenia Aerospazio”-სთან, ასევე ევროპული კოსმოსური სააგენტოს (“ESA”) შეკვეთით მონაწილეობდა კოსმოსური რეფლექტორული სისტემის შექმნის სამუშაოში, სადაც ქართველ სპეციალისტებთან ერთად, მონაწილეობას ღებულობდნენ იტალიის (“Alenia Aerospazio”), რუსეთის (“Энергия”), ავსტრიის (“Magna”), შვეიცარიისა (“HTS”) და ესპანეთის (“Sener”) კომპანიების წარმომადგენლები.
- ელგუჯა მექმარიაში არის 250-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის, სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული და გამოქვეყნებული მრავალი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, გამოგონების და სტატიების. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ აღიზარდა მრავალი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კანდიდატი და დოცენტი.
- მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მოპოვებულია და სრულდება საერთაშორისო და საქართველოს საგრანტო სამეცნიერო სამუშაოები.

- ელგუჯა მეძმარიაშვილს საზღვარგარეთ და საქართველოში დანერგილი აქვს 20 უმნიშვნელოვანესი სამუშაო, რომლებსაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში.
- მოცემულ ეტაპზე, ელგუჯა მეძმარიაშვილი არის სამეცნიერო ხელმძღვანელი ევროპული კოსმოსური სააგენტოს (ESA) კონტრაქტით განსაზღვრული ახალი თაობის გასაშლელი დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორის შექმნის, რომელშიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან ერთად მონაწილეობს მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტი.
- ელგუჯა მეძმარიაშვილი დაჯილდოებულია საქართველოს და საზღვარგარეთის 15 ორდენითა და მედლით, მათ შორის, ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხის ორდენით. იგი არჩეულია ქალაქ მცხეთის საპატიო მოქალაქედ.
- ელგუჯა მეძმარიაშვილი დაჯილდოებულია საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ორი საპატიო სიგელით – წმინდა სამების ტაძრის მშენებლობაში და ქართული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.
- ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მეძმარიაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გარდა, არის, ასევე სხვა მრავალი, მათ შორის, საერთაშორისო აკადემიის წევრი და წევრ-კორესპონდენტი.
- მისი სამეცნიერო შრომები, კონკრეტული პროექტები, განხორციელებული და დანერგილი კომპლექსები სახვადასხვა ავტორების მიერ აღიარებულია საზღვარგარეთის სტატიებში, მონოგრაფიებში, წიგნებში და სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებათა კრებულებში.
- ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა და ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიოს უმთავრეს ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში, მათ შორის – Who's who in the World, 2008, 2009 USA; Who's Who in Science and Engineering, 2007, 2008, 2009 USA; IBC Foremosr Engineers of the World – 2008; Cambridge, England. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ იგი დასახელებულია მსოფლიოს 100 საუკეთესო მეცნიერთა შორის TOP 100 Scientists – 2008, Cambridge, England; Internacional Engineers of the year for 2008.

ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ადრეული პერიოდი

სამოქალაქო საინჟინრო დარგი

ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ ადრეულ ეტაპზე განხორციელებულ სამუშაოებში ძირითადი ადგილი უკავია კონსტრუქციების შექმნას, მათ ექსპერიმენტულ კვლევებს და გაანგარიშების საინჟინრო მეთოდების დამუშავებას. სტუდენტობის წლებშივე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომიდან დაწყებული, ავტორს ჩატარებული აქვს კვლევები სივრცითი სისტემების კონსტრუირების ლოგიკაში, რომლებიც, მოიცავენ თაღოვან კამარისებრ, გარსოვან, კომბინირებულ, კომპლექსურ, წინასწარდაბაზულ, ცალმხრივკავშირიან, კიდულ და მოქნილდეროვან სტრუქტურათა სინთეზით ოპტიმალური სივრცითი კონსტრუქციების შექმნას.

სამოქალაქო საინჟინრო სისტემებში მისი სამუშაოები საფუძვლად დაედო სანკტ-პეტერბურგის სპორტის სასახლის – “იუბილენის” და შემდგომ, მოსკოვის “ლუნიკების” სტადიონის გასაშლელ-დასაკეცი დახურვების პროექტების საკონკურსო მასალებს. მისი მიღწევები სივრცით კონსტრუირებაში საკონკურსო შერჩევით წარმოდგენილ იქნა ექსპონატად მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე.

ელგუჯა მეძმარიაშვილმა, ავიაკომპანია “ორბის” შეკვეთით, დაამუშავა ორიგინალური პროექტი ანგარის რეკონსტრუქციის და მისი 48-მეტრიანი გასაშლელ-დასაკეცი კარების კონსტრუქციისა.

სამოქალაქო-საინჟინრო დარგში იგი არის გამოგონებების ავტორი, რომელთაგან ნაწილმა დაიმსახურა საერთაშორისო დიპლომი.

70-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს სოფლის მშენებლობის სამინისტროს შეკვეთით, მისი ავტორობით დამუშავდა ტიპობრივი ვარიანტები ობიექტების დახურვისა ხის, ლითონის და რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა გამოყენებით.

სამოქალაქო საინჟინრო სისტემების თეორიულ კვლევებში აღსანიშნავია ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ დამუშავებული საინჟინრო მეთოდის კომპლექსურ კონსტრუქციებში სხვადასხვა მასალებისაგან დამზადებულ ელემენტებში ძალების გადანაწილების განსაზღვრისა, წინასწარდაძაბული სისტემების გაანგარიშების მეთოდის დაძაბვის პარამეტრის შერჩევის საფუძველზე სტატიკურად ურკვევი სისტემებისათვის ცალმხრივკავშირიანი სტრუქტურით, და განმბრჯენის სიდიდის განსაზღვრის უნივერსალური ფორმულა წერილი თაღებისათვის.

სამოქალაქო საინჟინრო სისტემებში, მის მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა სისტემათა კონსტრუირების ლოგიკაში, განაპირობეს ისეთი კონსტრუქციების შექმნა, რომლებიც, თავიანთი სიმსუბუქის, ტექნოლოგიურობის, ეკონომიურობის გარდა, ქმნიან მათი იოლი ტრანსპორტირებისა და ექსტრემალურ სიტუაციებში გაშლის, აგრეთვე უმოკლეს დროში ფუნქციონირების პირობებს. ამან, შემდგომ ეტაპზე, განსაზღვრა ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოების გავრცელება სამხედრო- საინჟინრო დარგში და, განსაკუთრებით, სამხედრო კოსმოსურ ტექნიკაში, სადაც ექსტრემალურ პირობებში მექანიკური სისტემის შექმნის მოთხოვნა უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს.

ელგუჯა მეძმარიაშვილის მოღვაწეობა სამხედრო მეცნიერების დარგში

სამხედრო-საინჟინრო დარგი

ელგუჯა მეძმარიაშვილის მოღვაწეობა სამხედრო-საინჟინრო დარგში მოიცავს სამ პერიოდს.

1975-1980 წლებში ელგუჯა მეძმარიაშვილი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინრო ჯარების უფროსის წარდგინებით, თავისი გამოგონებებისა და წინადადებების რეალიზაციას იწყებს თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტში, სამხედრო-საინჟინრო აკადემიისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემიის სპეციალისტებთან ერთად. ამ პერიოდში კვლევების სფერო მოიცავდა ევროპის საომარი მოქმედებების თეატრებზე საინჟინრო უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი დიდმალიანი გასაშლელი საიერიშო სამხედრო ხიდის და ხიდგამდების კომპლექსის დამუშავებას, რომლის ტაქტიკური მოთხოვნები იყო დაბრკოლებაზე გადასასვლელის მოწყობა, უპირატესად ვერტმფრენების გამოყენებით.

ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისათვის შემუშავებული პრინციპები სწრაფადასაგები დიდმალიანი საიერიშო ხიდების კონსტრუქციული სტრუქტურისა და ვერტმფრენების გამოყენება ფორსირებისას, მოცემულ ეტაპზეც კი, სამხედრო ხელოვნებაში პირველი რიგის პრიორიტეტებს მიეკუთვნება.

კვლევები ეხებოდა, ასევე, სხვადასხვა სახეობის ჯარების უზრუნველყოფას სწრაფადასაგები, მრავალჯერადი გამოყენების, ტრანსპორტირებადი კონსტრუქციებით.

1982-1989 წლებში ელგუჯა მეძმარიაშვილი, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალების მიხედვით, სამთავრობო დადგენილების საფუძველზე გამოცემული მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებით, მონაწილეობს სახელმწიფო სამხედრო პროგრამების შესრულებაში. პროგრამების ფარგლებში, მისი გამოგონებისა და კვლევების საფუძველზე, დაპროექტდა, დამზადდა და გამოიცადა სამხედრო-საინჟინრო კომპლექსები. ნაწილი ამ სამუშაოებისა, კერძოდ – მექანიკური სისტემების ტრანსპორტირების, მონტაჟისა და მათზე კლიმატურ-

მეტეოროლოგიური ზემოქმედების შესწავლასთან დაკავშირებით ჩატარდა, ამ მიზნებისათვის აგებულ, სპეციალურ პოლიგონზე ბორჯომის მთიან ზონაში.

აღნიშნული პროგრამების მიხედვით, სტრატეგიული დანიშნულების მობილური საკომანდო პოსტისათვის, შეიქმნა კოსმოსური შეიარაღების თანამგზავრთა მართვის მიწისზედა გასაშლელი, მრავალჯერადი გამოყენების, ტრანსპორტირებადი, 12მ დიამეტრის მქონე მახვილმიმართული რადიოტექნიკური სამხედრო-საინჟინრო კომპლექსი.

თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალებით, ელგუჯა მექმარიაშვილმა შექმნა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან “პერშინგ-2”-ის სტარტის ადრეული აღმოჩენის მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო კომპლექსი.

ელგუჯა მექმარიაშვილის ხელმძღვანელობით, ასევე, დამუშავდა აღნიშნული სამხედრო-საინჟინრო კომპლექსების სამხედრო გამოყენების ტაქტიკური სქემები და მათი ტრანსპორტირების, განთავსებისა და სხვა კომპლექსებთან ერთდროულად ფუნქციონირების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის გეგმები ოპერატიულ დონეზე.

1995 წლიდან, ელგუჯა მექმარიაშვილი, სპეციალური ბრძანებულების, განკარგულებისა და დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, საქართველოში იწვებს სამამულო სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის შექმნას და მის გადაცემას შეიარაღებაში. ამასთან, იგი ბრუნდება სამხედრო სამსახურში, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფაში, და თანმიმდევრულად აყალიბებს ჯერ საქართველოს შეიარაღებული ძალების საინჟინრო უზრუნველყოფის ცენტრს, შემდეგ – საქართველოს სპეციალურ საინჟინრო სახელმწიფო ცენტრს, და, ბოლოს – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიას.

აღნიშნულ მოკლე პერიოდში, მან, ევროპული კომპანიების შეკვეთებით მოპოვებული თანხების ეკონომიური გამოყენებით, შეძლო ექსპერიმენტული ვარიანტების დაპროექტება და დამზადება სამხედრო გასაშლელი ხიდებისა: KM-01T და KM-02T, რომელთაც გაიარეს სავსე გამოცდები და გადაცემულნი არიან საქართველოს შეიარაღებაში. საინჟინრო თვალსაზრისით, აღნიშნული სამხედრო ხიდები განსაკუთრებულ უპირატესობას იძენენ რთული რელიეფის

პირობებში გამოყენებისას არსებულ რუსულ, ევროპულ და ამერიკულ ნაკეთობებთან შედარებით, რომელთა მომსახურება, ეკონომიკურად და ტექნიკურად, დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

აღნიშნული სამამულო ხიდები გამოიცადა სამხედრო მანევრებზე და, რაც მთავარია, ისინი დღესაც წარმატებით გამოიყენება საქართველოში სხვადასხვა მიზნებისათვის.

მან, ასევე, დააპროექტა, გამოსცა და სამხედრო სტრუქტურებს გადასცა შენიღბვის მექანიკური სისტემა.

ელგუჯა მექმარიაშვილის, როგორც სამხედრო-საინჟინრო დარგის სპეციალისტისა და მკვლევარის განსაკუთრებული მიღწევაა ქართული სამხედრო-საინჟინრო სკოლის ჩამოყალიბების სათანადო სამეცნიერო ბაზის შექმნა, რაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მისმა ნაშრომებმა, რომლებიც შეეხება საქართველოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საფუძვლებს და სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიას და ოპერატიულ ხელოვნებას.

ბრძოლებისა და ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფა ოპერატიულ დონეზე განხილულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, რელიეფის, ჰიდროგეოლოგიის, კლიმატის, კონკრეტული გარემოს, წელიწადის და დღეღამის დროის შესაბამისად.

სამხედრო-საინჟინრო სპექტრი მის შრომებში მოიცავს, შეტევით, თავდაცვით, გადაადგილების და შემხვედრ ბრძოლებს, ასევე, კონტრშეტევისა და კონტრიერიშების ოპერაციებს.

მისი კვლევების მასალები გამიზნულია საქართველოში სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის პრინციპების ჩამოყალიბებისა და, ამ მხრივ, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციისათვის.

ელგუჯა მექმარიაშვილის მიერ შექმნილი თეორია – საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების და ბრძოლებისა და ოპერაციების, სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისა და სამხედრო-საინჟინრო სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის, საფუძვლად დაედო სახელმწიფო სამხედრო მიზნობრივ პროგრამას.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა ქართული სამხედრო-საინჟინრო დარგის ძირითადი ნორმატიული და ინტელექტუალური ბაზა. ასევე, მომზადდა საქართველოს სამგანზომილებიანი ციფრული რუკა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კოსმოსური გადაღების მასალების სრული ბანკი.

ელგუჯა მექმარიაშვილის მიერ შემუშავებული პროგრამით საქართველოს სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში მომზადდა ქართველი უფროსი და უმაღლესი დონის ოფიცერთა კონტინგენტი, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფოს მიერ გაცემული დიპლომები, უმაღლეს ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეზე სწავლისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ელგუჯა მექმარიაშვილის მონოგრაფიის გამოცემას – “საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები”, სადაც სამხედრო თეორიის შესაბამისად განისაზღვრა ქართული საინჟინრო სკოლის არსებული ამოცანები, მიღწევები და პერსპექტივები, რაც აუცილებელია სახელმწიფოს ტერიტორიის ომისათვის მომზადებისა და ბრძოლებისა და ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფისათვის.

მოცემულ ეტაპზე, ელგუჯა მექმარიაშვილი ამუშავებს საიერიშო, სარეკორდო ზომის – 48 მეტრის მაღის მქონე, სახიდე კომპლექსს.

2009 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის მიერ გენერალ-მაიორ ელგუჯა მექმარიაშვილს მიეცა დავალება საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო მომზადების კონცეფციის და ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეზე მისი კომპლექსური დამუშავების შესახებ.

ელგუჯა მექმარიაშვილის მიერ სრულდება თავდაცვის სამინისტროს და გაერთიანებული შტაბის სპეციალური დავალებები.

2009–2010–2011 წლებში, ელგუჯა მექმარიაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის დამუშავება და, შემდგომ, მისი გამოსაცემად მომზადება.

სამხედრო თეორია

სამხედრო თეორიაში ელგუჯა მექმარიაშვილის მიერ ორიგინალური მიდგომით განხილულია შემდეგი საკითხები:

- ომები XXI საუკუნის პირველ მეოთხედში;
- სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთ-დამოკიდებულების ახალი კონფიგურაცია;
- სამხედრო დაგეგმარების სივრცის მათემატიკური მოდელი;
- საქართველოს ტერიტორიის საომარი გარემო.

მეტად მნიშვნელოვანია ელგუჯა მექმარიაშვილის მონოგრაფია – „ახალი მიდგომები სამხედრო თეორიის საკითხებისადმი“. მონოგრაფიაში განხილულია თანამედროვე სამხედრო თეორიის მეტად აქტუალური საკითხი, რომელიც შეეხება თანამედროვე ეტაპზე ბრძოლების თეორიას, ძირითადად დიდი სამხედრო რესურსის მქონე სახელმწიფოებისა და გაცილებით პატარა სამხედრო რესურსის მქონე სახელმწიფოებს შორის. ავტორი აღნიშნულ საკითხს განიხილავს სამხედრო თეორიის ცნობილი სპეციალისტის ლიდელ ჰარტისაგან განსხვავებული ლოგიკით, რომელიც შეიარაღებული ბრძოლის და მექანიკის კომპლექსურ პრინციპებს ემყარება.

ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული შემდეგი საკითხები:

- მოწინააღმდეგე მხარეების ბრძოლისუნარიანობა;
- მებრძოლი სისტემის დინამიკური და გეომეტრიული პარამეტრები;
- არაპირდაპირი მოქმედებების დინამიკური პროცესების სისტემატიზაცია.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მისი ინიციატივით დაიწყო გამოცემა პერიოდული ჟურნალისა – “სამხედრო თეორია”.

ელგუჯა მექმარიაშვილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ხელმძღვანელობს სამხედრო მეცნიერებათა ქვეკომისიას.

კოსმოსური მექანიკა

1981 წლიდან სამხედრო კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორის, აკადემიკოს ანატოლი სავინის წარდგინებით, ელგუჯა მეძმარიაშვილი ხდება კოსმოსური პროგრამების მთავარი კონსტრუქტორი დიდგაბარიტიანი ორბიტალური სამხედრო ტექნიკის განხრით. ასეთი გადაწყვეტილება განაპირობა ძირითადად მის მიერ 1975-1980 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა და მოღვაწეობამ სამხედრო საინჟინრო დარგში.

კოსმოსურ მექანიკაში ელგუჯა მეძმარიაშვილის, როგორც მეცნიერის, გენერალური კონსტრუქტორისა და ორგანიზატორის, მოღვაწეობა მეტად მრავლმხრივია.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი სამეცნიერო-თეორიული კვლევები კოსმოსურ მექანიკაში ახალი მიმართულების – ტრანსფორმირებადი სისტემების თეორიის და, მათ ბაზაზე, ორბიტალური სამხედრო და სამოქალაქო კომპლექსების შექმნის მხრივ.

ტრანსფორმირებადი სისტემების თეორია, რომელიც ერთდერთია მსოფლიოში, ეფუძნება სისტემათა ფორმათწარმოქმნის განზოგადოებულ კანონზომიერებებს. მისი გამოყენების სფერო მოიცავს როგორც კოსმოსურ მექანიკას, ასევე ვრცელდება სხვა დანიშნულების კონსტრუქციულ სისტემებზეც.

ელგუჯა მეძმარიაშვილის მონოგრაფიებში პირველად იქნა გამოკვლეული ერთიანი მოდელი ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემებისა, რომელსაც საფუძვლად უდევს კინემატიკური სტრუქტურის, გეომეტრიული სქემებისა და ენერგეტიკული უზრუნველყოფის სინთეზი.

ტრანსფორმირებადი სისტემების კვლევები მოიცავს: ტრანსფორმირებადი სისტემების განმარტებას და საერთო ნიშნებს, ფორმათწარმოქმნის პროცესებს, ტრანსფორმირებად სტრუქტურებს, სისტემის გეომეტრიას და ძირითად პარამეტრებს, ტრანსფორმირებადი სისტემების სახესხვაობას, მათ ტიპებს, სახეებსა და დინამიკურ სტრუქტურას.

ამასთან, შემუშავებულია ახალი კონცეფცია ტრანსფორმირებადი სისტემების კლასიფიკაციისა, რაც სრულიად ცვლის ადრე არსებული ფრაგმენტული და ცალსახა კვლევების არსს.

კოსმოსურ მექანიკაში თეორიული კვლევების პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალურია მის მიერ შემუშავებული, სრულიად ახალი კლასი ტრანსფორმირებადი ორბიტალური საყრდენ-კარკასოვანი სისტემებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო ათეულობით კონსტრუქციული სქემის შექმნას. მათ შორის სამი სისტემა თვითონ ელგუჯა მექანიკის გენერალური კონსტრუქტორობით, მთავარი კონსტრუქტორობით ან მონაწილეობით წარმატებულად იქნა გაყვანილი კოსმოსურ ორბიტაზე.

საყრდენ-კარკასოვანი კლასი მთლიანობაში, და მისი ერთ-ერთი ჯგუფი – რგოლური სისტემები, მოიცავს მრავალრგოლიან-კონცენტრულ, მერიდიანულ, კომბინირებულ რგოლურ, შეწყვილებულ რგოლურ, ციკლურ საყრდენიან და სხვა მრავალი ტიპის კონსტრუქციებს, რომელთაც გააჩნიათ სიბრტყითი, სივრცითი, ვანტური, ღეროვანი, ვანტურ-ღეროვანი, კომბინირებული, კომპლექსური, ფირფიტოვანი, გარსული, თაღოვანი, “მფრინავღეროებიანი”, წინასწარდაძაბული, დაუძაბავი და სხვა სტრუქტურები.

კოსმოსური მექანიკის დარგში, თეორიული კვლევების პარალელურად, ელგუჯა მექანიკის მოღვაწეობის ეფექტურობა, მიღებული შედეგები და ამ მიმართულებით საქართველოს სამომავლო პერსპექტივები მეტწილად განსაზღვრა მისი ინიციატივით საქართველოში აგებულმა – კოსმოსური სისტემების მიწისზედა აწეობისა და გამოცდის სასტენდო კომპლექსმა.

კომპლექსის ერთიანი ტექნოლოგიური სქემა, ცალკეული სტენდების კონსტრუქციული და მექანიკური გადაწყვეტა და კოსმოსური, 30 მეტრამდე გაბარიტების მქონე ნაკეთობების მექანიკური და ჰიდროუწონადობის პირობებში გაშლის, ექსპლუატაციისა და ორბიტაზე მომსახურების ტექნოლოგიების დედამიწის პირობებში აპრობაციის მეთოდი მის მიერ არის დამუშავებული.

საგურამოს უნიკალური სასტენდო კომპლექსი, რომელშიც პრეცეზიული და გაშლის სტენდებთან ერთად განლაგებულია მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰიდროუწონადობის ავზი და რადიოპარამეტრებზე კოსმოსური

დიდგაბარიტიანი ტექნიკის დედამიწის პირობებში ტესტირების უნიკალური მბრუნავი სტენდი, ბევრი პარამეტრით აღემატება სხვა ქვეყნების ანალოგიური დანიშნულების ობიექტებს.

ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ და მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული მეთოდებით, შექმნილი მოწყობილობებით და დასმული ამოცანებით ჩატარებულია ათეულობით დიდი მოცულობის ექსპერიმენტი, კვლევები კოსმოსურ მექანიკაში, რომლებიც მოიცავენ მოქნილდეროვანი, ფერმული, მემბრანული, ელასტიური, პნევმატური და სხვა ტიპის სტრუქტურებისაგან აგებულ 20-ზე მეტ ორბიტალური ტექნიკის კონსტრუქციულ ტიპს.

ექსპერიმენტულმა კვლევებმა, ძირითადად, გამოკვეთა პრიორიტეტული გადაწყვეტები კოსმოსური ტექნიკის საერთო სქემების, მათი ელემენტებისა და კვანძების დამზადების, აწეობის ტექნოლოგიებისა და საპროექტო პარამეტრების მიღწევის და გარანტირებული შენარჩუნების. ამასთან, უკუკავშირის ფორმით, ექსპერიმენტულმა კვლევებმა ზეგავლენა იქონიეს კონსტრუქციათა გაანგარიშების მეთოდების შერჩევაზე და მათ დაზუსტებაზე.

კოსმოსურ კონსტრუქციათა შექმნაში, ელგუჯა მეძმარიაშვილის შრომებში, დიდი ადგილი უკავია რთული კოსმოსური მექანიკური სისტემების გაანგარიშების საინჟინრო მეთოდების დამუშავებას და, მათი გამოყენებით მიღებული შედეგებით, კონსტრუქციათა თეორიულ კვლევებს; მის მიერ დამუშავებული გაანგარიშების საინჟინრო მეთოდები მოიცავენ მდგრადობის, დინამიკური და სტატიკური პარამეტრების განსაზღვრის, სისტემათა გაშლის, თვითდაძაბვის, ფორმის ფიქსაციისა და ფუნქციონირების საკითხებს.

კოსმოსური საშტატო ტექნიკის გაანგარიშების ევროპული სტანდარტებით აუცილებელი მოთხოვნის მიხედვით, მის მიერ უზრუნველყოფილი იქნა საინჟინრო მოდელების ადაპტაცია და საანგარიშო სქემების შეთავსება ლიცენზირებულ პროგრამებთან – “Nastran”, “Ansys” და «Лира», და მათი პრაქტიკული ათვისება.

მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით, დამუშავდა ტრანსფორმაციის პროცესში სისტემებისა და ფიქსირებული ფორმის ანალიზის ორიგინალური ანიმაციური პროგრამები, რომელთაც კონსტრუქციათა კინეტიკისა და სტრუქტურის სრული მათემატიკური მოდელი უდევთ საფუძვლად.

2009 წელს გამოიცა ელგუჯა მეძმარიაშვილის მონოგრაფია “Механика космических комплексов.”, რომელშიც სისტემური მიდგომით განხილულია კოსმოსური თანამგზავრული კომპლექსების დინამიკა და სტატიკა.

ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ კოსმოსურ მექანიკაში დამუშავებულმა ტრანსფორმირებადი სისტემების ახალმა თეორიულმა მიმართულებამ ორბიტალური კონსტრუქციების შექმნილმა ორიგინალურმა კლასმა, ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა, რაც ასევე შესაძლებელი გახდა საგურამოს სასტენდო კომპლექსში, და გაანგარიშების მეთოდების განსაზღვრამ, უზრუნველყვეს ერთიანი ანალიზი და სისტემატიზაცია კოსმოსური და, ასევე, მიწისზედა ბაზირების ტრანსფორმირებადი კონსტრუქციული სისტემებისა, რამაც განაპირობა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო კოსმოსური პროგრამებისათვის სამხედრო ორბიტალური სისტემების და ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა, მათი ორბიტაზე გაყვანა და ფუნქციონირება.

სამხედრო-კოსმოსური დარგი

ამ მიმართულებით ელგუჯა მექმარიაშვილის, როგორც მთავარი კონსტრუქტორის, უმნიშვნელოვანესი სამუშაოებია: ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური კომპლექსი, რაკეტაწინააღმდეგო კოსმოსური სისტემების რეფლექტორული კონსტრუქციები, პროგრამა “რაუნდი”, წყალქვეშა ნავების გადაადგილებისა და კონტროლის ორბიტალური სისტემა და თავდაცვის სამინისტროს სხვა მრავალი სპეციალური დავალების შესრულება, რომლებიც განსაზღვრული იყო სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებებით, შესაბამისად – სამთავრობო დადგენილებით, და რომელიც განკუთვნილი იყო თავდაცვის სამინისტროსთვის და სრულდებოდა მისი ეგიდით.

აღნიშნულ დარგში ელგუჯა მექმარიაშვილი სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარ კონსტრუქტორად დაინიშნა, აკადემიკოსის, სამხედრო კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორის ანატოლი სავინის გადაწყვეტილებით და მინისტრის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ლოსევის თანხმობით.

სამხედრო-კოსმოსურ დარგში ელგუჯა მექმარიაშვილის განსაკუთრებული სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევაა სრულიად ახალი ავტონომიური თანამგზავრული საინჟინრო-რადიოტექნიკური კომპლექსის დამუშავება, რაც იძლევა სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისას დამიზნების სიზუსტის, მიღებული ინფორმაციის მოცულობის, ხარისხის და მათი მიღება-გადაცემის სისწრაფის ხარისხობრივ ზრდას.

ამასთან, მახვილმიმართული ორბიტალური კომპლექსები ხასიათდებიან განსაკუთრებული ეფექტით მათი პასიურ რეჟიმში მუშაობისას, რაც სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სფეროში მათი შენიღბვის ოპტიმალურ პირობას ქმნის და სტრატეგიული საიარაღო სისტემებისათვის მოცემულ ეტაპზე, მითუმეტეს კი პერსპექტივაში, ომების ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ თვისებად მოითხოვება.

არსებულ ღია პუბლიკაციებში, ასევე, აღნიშნულია, რომ ელგუჯა მექმარიაშვილი, აკადემიკოსებთან – ბ. ე. პატონთან და ი. პ. სემიონოვთან ერთად, უშუალო მონაწილეა კოსმოსური სისტემების შექმნისა, რომლებიც “Проресс-40”-ზე პროგრამა “Краб”-ით და ორბიტალურ სადგურ “Мир”-ზე პროგრამა “Софора”-თი, გაყვანილ იქნა კოსმოსში, და რომლებმაც უზრუნველყვეს, ერთის მხრივ, სპეციალური მონაცემების მოხსნა, და მეორეს მხრივ, შექმნეს დამატებითი რესურსი ორბიტალურ სადგურ “Мир”-ის გახანგრძლივებული მანევრირებისა და ფუნქციონირებისა.

სამოქალაქო კოსმოსური დარგი

1995 წლიდან ელგუჯა მექმარიაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით და მისი, როგორც გენერალური კონსტრუქტორის, მონაწილეობით საქართველოში შესრულდა კომპანიების: “Космосвязь” (რუსეთი), “Daimler-Benz Aerospace” – “Dornier Satellitensysteme”-სი (გერმანია), “Cream”-ისა და “Valemar”-ის (ლიხტენშტეინი), და “Alenia Aerospazio”-ს (იტალია) შეკვეთები ახალი თაობის გასაშლელი კოსმოსური დიდი ზომის კონსტრუქციების შესაქმნელად.

ელგუჯა მექმარიაშვილი არის გენერალური კონსტრუქტორი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტისა.

თანამგზავრული სისტემა – “რეფლექტორი”, რომელიც 1999 წლის 23 ივლისს გაყვანილ იქნა კოსმოსში, წარმატებით გამოიცადა ორბიტალურ სადგურ “Mir”-ზე და 28 ივლისს გადაყვანილ იქნა დამოუკიდებელ ორბიტაზე. მრავალი ქვეყნის წარუმატებელი და ურთულესი ორბიტალური ექსპერიმენტის შემდეგ პროგრამა “რეფლექტორის” წარმატებული განხორციელება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რითაც დამტკიცდა დიდი ზომის მსუბუქი, ზუსტი, ხისტი და საიმედო გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორული სისტემების რეალური შექმნის შესაძლებლობები, რაც, თავის მხრივ, უმთავრესი პირობაა ახალი თაობის სატელეკომუნიკაციო და სამხედრო-კოსმოსური სისტემების რეალიზაციისათვის.

ელგუჯა მექმარიაშვილის ავტორობით შექმნილი ორბიტალური რეფლექტორული სისტემა შესწავლილ იქნა უცხოელი ექსპერტების მიერ, მის განხილვას მიეძღვნა ევროპული კოსმოსური სააგენტოს სპეციალური კონფერენცია, რომლის მასალები გამოქვეყნდა მემორანდუმის სახით. ექსპერიმენტის მასალები ფართოდ არის განხილული საზღვარგარეთის გამოცემებში, სტატიებში, კონფერენციის მასალებში, ინტერნეტის ქსელში და ენციკლოპედიურ გამოცემებში.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა ენციკლოპედიურ გამოცემებში შეფასებულია როგორც ახალი ტექნოლოგიების დასაწყისი მსოფლიო კომუნიკაციებში, ხოლო ექსპერიმენტის განხორციელების თარიღი შეტანილია კოსმონავტიკის ძირითადი ქრონიკების ჩამონათვალში.

2000 წელს ევროპული კოსმოსური სააგენტოს ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნულია ქართული რეფლექტორის ევროპულ სისტემად გადაქცევის აუცილებლობა და იგი განხილულია აშშ-ს სამხედრო-კოსმოსური სისტემების ალტერნატივად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2001 წლის 5 ივლისს, რომში სტარტი მიეცა ევროპული კოსმოსური სააგენტოს პროგრამას ევროპის ახალი თაობის თანამგზავრებისათვის სტრატეგიული რეფლექტორული სისტემების შექმნის შესახებ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ქართველ სპეციალისტებთან ერთად, მონაწილეობდნენ იტალიის (“Alenia Aerospazio”), რუსეთის (“Энергия”), ავსტრიის (“Magna”), შვეიცარიის (“HTS”) და ესპანეთის (“Sener”) კომპანიების წარმომადგენლები.

2009 წლის ოქტომბერში, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ძირითადად მიექცენა ელგუჯა მექმარიაშვილის სამუშაოებს. კონფერენციაში, რომელიც ევროპული კოსმოსური სააგენტოს (“ESA”) ეგიდით ჩატარდა, მონაწილეობდა მსოფლიოს გამოჩენილი 24 მეცნიერი 20 ქვეყნიდან.

ელგუჯა მექმარიაშვილის ახალი კვლევები, გამოგონებები და პროექტები წარმოაჩენს სრულიად ახალ მიდგომას ახალი თაობის განსაკუთრებულად დიდი ზომის და ზემდაღი სიზუსტის მახვილმიმართული კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორული სისტემების შესაქმნელად. ეს პრინციპები უკვე აისახა ახალი გამოგონების პატენტებში – “E.V.M.”, რომლის პუბლიკაციაც განახორციელა ჟენევის საპატენტო ძიების საექსპერტო კომისიამ.

2010 წელს, ელგუჯა მექმარიაშვილის სამუშაოების მიხედვით, ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ (“ESA”) გააფორმა კონტრაქტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან და მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტთან ახალი თაობის დიდი კოსმოსური რეფლექტორების შესაქმნელად. აღნიშნული სამუშაოს მეცნიერ-ხელმძღვანელი არის ელგუჯა მექმარიაშვილი.

**ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო შრომების სისტემატიზებული სია
2010 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით**

I	გამოცემული მონოგრაფიები	– 7
II	გამოცემული სახელმძღვანელოები	– 4
III	საერთო რედაქციით გამოცემული სახელმძღვანელოები	– 2
IV	გამოცემული მეთოდური მითითებები	– 2
V	საერთო რედაქციით ან მთავარი რედაქტორობით გამოცემული კრებულები	– 2
VI	სხვა ავტორებთან ერთად გამოცემული სამეცნიერო წიგნები	– 1
VII	საზღვარგარეთ და საქართველოში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, მათ შორის - თანაავტორებთან ერთად	– 78
VIII	დეპონირებული შრომები	– 5
IX	სამეცნიერო შრომები გრიფით “სრულიად საიდუმლო” და “საიდუმლო”	– 40
X	საერთაშორისო კონფერენციებზე წარმოდგენილი სამეცნიერო პუბლიკაციები მოხსენებათა კრებულებში, მათ შორის – თანაავტორებთან ერთად	– 24
XI	საერთაშორისო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე წარდგენილი სამეცნიერო მოხსენებების გამოქვეყნებული თეზისები, მათ შორის – თანაავტორებთან ერთად	– 16
XII	გამოგონებები	– 60
XIII	სამეცნიერო შრომები ხელნაწერის უფლებებით	– 11
სულ –		252

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი





ნოდარ ჯიბნაძე

ინსტიტუტის სპეციალური სამსახურის უფროსი

ნანა მაისურაძე

ელგუჯა მემარიაშვილის
სამეცნიერო სამუშაოების
ძირითადი, საეტიკო მნიშვნელობის დანერგვები
საზღვარგარეთ და საქართველოში
————— · —————
დანერგილი სამუშაოები – 20
მათგან:
საწარმოო დანერგვა – 16
პროგრამების და მისი შედეგების დანერგვა – 4

ელგუჯა მემარიაშვილის სამუშაოების ძირითადი, საბტაკო მნიშვნელობის დანერგვები


№1.	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს რეალიზაციის სადირექტივო დოკუმენტები	დანერგვის ფორმა -2* *	სამუშაოს ამსახველი მასალები ან განმარტებები
	<p align="center"><u>СОВ.СЕКРЕТНО*</u></p> <p>Наземная, быстроперебазируемая, развертываемая антенна диаметром 12 метров.</p> <p>Применение:</p> <p>– Наземные антенны для перебазируемого командного пункта системы «УС-КМО»;</p> <p>– Рефлекторный радиотехнический комплекс для СВЧ системы обнаружения баллистических ракет «Першинг-2», стартующих с территории ФРГ.</p> <p>Шифр: Н.Р. – 12.</p>	<p align="center"><u>СОВ.СЕКРЕТНО</u></p> <p>РЕШЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОЙ КОМИССИИ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР ПО ВОЕННО-ПРОМЫШЛЕННЫМ ВОПРОСАМ №16. МОСКВА. КРЕМЛЬ. 12.12.1985.</p> <p>В целях обеспечения работ по дальнейшему развитию и совершенствованию средств обнаружения стартующих баллистических ракет, заданных постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 мая 1985 г. № 465-150, Государственная комиссия Совета Министров СССР по военно-промышленным вопросам решила:</p> <p>I.Принять предложение Минрадиопрома и Совета Министров Грузинской ССР о проведении в 1985-1989 годах научно-исследовательских и экспериментальных работ, направленных на создание развертываемых и перебазируемых антенн.</p> <p>- Наземная антенна</p>	<p align="center"><u>დანერგვის ადგილი და დრო</u></p> <p>п/я М-5804 п/я А-1178 1988 г. Акт внедрения № 18/88 и № 21/88 18.1.1991. Акт внедрения № 14/85; №15/85; №16/87; № 18/88; №21/88; №22/88 18.1.1991.</p>	   

* - სამუშაოს შესრულებიდან 15 წელზე მეტი პერიოდის გასვლის და საქართველოს სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის არაუფლებამონაცვლეობის გამო სამუშაოს გასაიდუმლეობის გრიფი მოესხნა.

* * - დანერგვის ფორმა: 1 – მეთოდი ან ტექნოლოგიური მოწოდებლობა; 2 – ფუნქციონალური ან საკვალიფიკაციო კონსტრუქცია ან კომპლექსი; 3 – საფერენოსნო ან საშტატო კონსტრუქცია ან კომპლექსი; 4 – კოსმოსში ან დედამიწაზე რეალიზებული კონსტრუქცია ან კომპლექსი; 5 – სამეცნიერო პროგრამა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის –
დირექტორი, დოქტორი **ნოდარ ჟიბნაძე** სპეციალური სამსახურის უფროსი **ნანა მაისურაძე**

ელბუჯა მემარიაშვილის სამუშაოების ძირითადი, საბტაკო მნიშვნელობის დანერგვები



№-2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს რეალიზაციის საღირებვითი დოკუმენტები	დანერგვის ფორმა-2* * დანერგვის ადგილი და დრო	სამუშაოს ამსახველი მასალები ან ბანმარტებები
	<p align="center"><u>СОВ.СЕКРЕТНО*</u></p> <p>Космическая, крупногабаритная, разворачиваемая рефлекторная антенна диаметром зеркала 30 м.</p> <p>Применение:</p> <ul style="list-style-type: none"> – Космическая разворачиваемая рефлекторная антенна для построения радиоканала обнаружения системы «УС-КМО»; – Космический радарный комплекс «Идеограмма – Пирс 2», построенный на базе двух разворачиваемых рефлекторных антенн с диаметрами 30 метров. <p>Шифр: ОРА Шифр: АС-Гр</p>	<p align="center"><u>СОВ.СЕКРЕТНО</u></p> <p>РЕШЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОЙ КОМИССИИ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР ПО ВОЕННО-ПРОМЫШЛЕННЫМ ВОПРОСАМ №16. МОСКВА. КРЕМЛЬ. 12.12.1985.</p> <p>В целях обеспечения работ по дальнейшему развитию и совершенствованию средств обнаружения стартующих баллистических ракет, заданных постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 мая 1985 г. № 465-150, Государственная комиссия Совета Министров СССР по военно-промышленным вопросам решила:</p> <p>1.Принять предложение Минрадиопрома и Совета Министров Грузинской ССР о проведении в 1985-1989 годах научно-исследовательских и экспериментальных работ, направленных на создание разворачиваемых и перебазирuemых антенн.</p> <p>- Космические антенны</p>	<p>п/я М-5804 п/я А-1178 1988 г. Акт внедрения № 14/85; № 28/80. 18.I.1991.. Акт внедрения №14/85; №15/85; №16/87; № 18/88; №21/88; №22/88 18.I.1991.</p>	

* - სამუშაოს შესრულებიდან 15 წელზე მეტი პერიოდის გასვლის და საქართველოს სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის არაუფლებამონაცვლეობის გამო სამუშაოს გასაიდუმლეობის გრიფი მოესხნა.

* * - დანერგვის ფორმა: 1 – მეთოდი ან ტექნოლოგიური მოწყობილობა; 2 – ფუნქციონალური ან საკვალიფიკაციო კონსტრუქცია ან კომპლექსი; 3 – საფრენოსნო ან საშტატო კონსტრუქცია ან კომპლექსი; 4 – კოსმოსში ან დედამიწაზე რეალიზებული კონსტრუქცია ან კომპლექსი; 5 – სამეცნიერო პროგრამა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის – დირექტორი, დოქტორი **ნოდარ ჯიბნაძე** სპეციალური სამსახურის უფროსი **ნანა მაისურაძე**

ელგუჯა მემარიაშვილის სამუშაოების ძირითადი, საბაზო მნიშვნელობის დანერგვები

№-3	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს რეალიზაციის სადირექტივო დოკუმენტები	დანერგვის ფორმა-4* *	სამუშაოს ამსახველი მასალები ან ბანმარტებები
A basic set of writings and references has been collected by the U3P, the Space Regatta Consortium and their partners to serve as a primer to the development of further studies and activities in the fields of solar sails and space mirrors.

> SOLAR SAIL PICTURE GALLERY

In this section of the CD-ROM, U3P and their partners world-wide present a collection of "family" and technical pictures relating to space mirrors and solar sails.

> ANIMATED SOLAR SAIL MOVIES

The most impressive part of the CD-ROM is the collection of digital simulations, and of actual solar sail deployment tests which convey best the current state of development of large thin film technology for space applications.

> THE SOLAR SAILS NETWORKS

The "Who's Who" of space sailors and solar sail groups world-wide.

> DIRECTORY

The index of the CD-ROM

ORDER THE INTAS CD-ROM NOW !

In the interest of the dissemination of scientific and technical knowledge, the INTAS CD-ROM "LIGHT FROM SPACE" is free (within the limits of stock).
To order, send your full identification and street address.

> CONTACT U3P

To follow up on the development of solar sails and large thin film in space technology, become a member of U3P, the Union for the Promotion of Photon Propulsion
Download the registration form

> SAILING TO THE STARS

The development of solar sailing has been recognized by the Education Committee of the International Astronautical Federation as one of the keys to the development of our second generation in space, with large structures in space, with space tourism, large scale industries in space, and where "the World" will mean the entire Solar System...

Sic Itur ad Astra !

=====

შემოქმედებითი კოორპირაცია

Final report of the group of Space Regatta Consortium

Participants: **И другие**

Syromiatnikov V. - doctor of technical sciences, general director.

Final report of the group of Paton Welding Institute

Participants: **И другие**

1. Paton B. - academician.

Final report of the group at Mechanics Department of Politecnico di Torino

Participants: **И другие**

Prof. Giancarlo Genta

Final report of the group at Cerga Satellite Laser Ranging Station

Participants: **И другие**

Pierron F. - Research Manager SLR Station Manager

Final report of the group of the Dolgoprudnyi Automatic Design Bureau

Participants: **И другие**

1. Yakovlev Yu. – general director,

Final report of the Scientific Institute for Machine Building

Participants: **И другие**

1. Lukijaschenko V. - professor, deputy director.




Participants:

1. Medzmariashvili Elgudgi - professor, - 30%

Final report of the group of the Georgian Polytechnical Intellect

Participants: **И другие**

1. Medzmariashvili Elgudgi - professor, - 30%



Final report of the group at Union for the Promotion of Photonic Propulsion

И другие

Participants :

1. Pignolet Guy, (CNES Publications/Futures Engineer) Honorary President of U3P, CO

2. «Разработка технологии получения сплавов на основе титана для обеспечения максимального проявления эффекта памяти формы, сверхупругости и деформирующих свойств».
МНТЦ. G – 499. Проект G – 499. (с 01.12.2001 по 01.08.2005).

ПРОЕКТ G-499

Отчет о деятельности по проекту
МНТЦ G-499

Тенгиз Александрович Перадзе
(менеджер проекта)
Грузинский Технический Университет

Ян. Я. Седерстрем
(коллаборатор проекта)
Scandinavian Memory Metals A.B.

«Разработка технологии получения сплавов на основе титана для обеспечения максимального проявления эффекта памяти формы, сверхупругости и демпфирующих свойств.

(с 01.12.2001 по 01.08.2005)

Элгуджа Викторович Медзмариашвили
(научный консультант проекта)
Грузинский Технический Университет

Элгуджа Викторович Медзмариашвили
(научный консультант проекта)

Грузинский Технический Университет

3.



საგრანტო ხელშეკრულება № *A-02-09*

4. თებერვალი 2009წ.

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი) (შემდგომში - დონორი), მისი დირექტორის, თინათინ ზოჭორიშვილის სახით, მოქმედი საქართველოს მთავრობის 2006 წლის 19 აპრილის №81 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 30 ივლისის N90 ბრძანების თინათინ ზოჭორიშვილის სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) დირექტორად დანიშნვის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 მაისის №103 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) წესდების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) სამეცნიერო საბჭოს №1 23.01.09 სხდომის ოქმის, სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის დირექტორის №7 28.01.09. ბრძანების საფუძველზე და მეორე მხრივ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, არჩილ ფრანგიშვილის სახით და ელგუჯა მექმარიაშვილი პროექტის ხელმძღვანელი, (ორივე ერთად შემდგომში – გრანტის მიმღები)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დონორი აფინანსებს 2008 წელს გამოცხადებულ სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პროექტს - „საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების მდგრადი განვითარებისათვის NATO-ს და მისი წევრი სახელმწიფოების ნორმატიული მასალების, კატეგორიების და ტერმინების მიხედვით, ქართულ ენაზე სამხედრო ცნებების დადგენა და სრული, სისტემატიზებული და კლასიფიცირებული ნაშრომის შექმნა“. ხოლო გრანტის მიმღები იღებს ვალდებულებას განახორციელოს საგრანტო პროექტი.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება (გრანტის ზოგადი)

- 2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგრანტო თანხა შეადგენს 149 400 (ასორმოცდაცხრამათას ოთხასი) ლარს, რომელიც დაყოფილია კვარტალურ ტრანშებად.
- 2.2. პროექტის ხანგრძლივობა: 12 კვარტალი.
- 2.3. თითოეული ტრანშისათვის განსაზღვრული თანხა მოცემულია გრანტის „ხარჯთაღრიცხვაში“ (დანართი №1).
- 2.4. მხარეთა შორის წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დასაშვებია გრანტის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანა როგორც დაუფინანსებელი, ასევე დაუფინანსებელი მუხლების მოდერნიზაციის საშუალებით.
- 2.5. გრანტის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს:
 - 1) ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდა.
 - 2) თითოეული წლის ჯამური თანხის გაზრდა.
 - 3) „პროექტში“ დაფიქსირებული პირველი ტრანშის შეცვლა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მისი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, არჩილ ფრანგიშვილის სახით და ელგუჯა მექმარიაშვილი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (ორივე შემდგომში გრანტის მიმღები).

“საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების მდგრადი განვითარებისათვის NATO-ს და მისი წევრი სახელმწიფოების ნორმატიული მასალების, კატეგორიების და ტერმინების მიხედვით ქართულ ენაზე სამხედრო ცნებების დადგენა და სრული, სისტემატიზებული და კლასიფიცირებული ნაშრომის შექმნა”.

– გრანტი მიღებულია და მიმდინარეობს მისი შესრულება.



ელგუჯა მემარიაშვილის

საეტაპო მნიშვნელობის მონობრაფიები და პირითადი დანერბვები
კონმონსური მემქანიკის, სამხედრო-საინჟინრო მენცნიერებების და სამხედრო-ტექნიკური
მენცნიერებების დარბებში

და

სამენცნიერო მოღვაწეობის შედეგების ამსახველი ილუსტრაციები.

ელგუჯა მემბარიაშვილის სამუშაოებს კოსმოსური ტექნიკის დარგში გრიფი “სრულიად საიდუმლო” ჯერ კიდევ 1980 წლიდან განესაზღვრა, როდესაც მან მოსკოვში პირველად გააკეთა მოხსენება ცენტრალურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “კომეტა”-ში დიდი გასაშლელი რეფლექტორული ანტენების დარგში. საინტერესოა ის, რომ მოხსენების დროს ელგუჯა მემბარიაშვილმა განიხილა 19 ახალი სქემა. საუკეთესოდ აღიარეს მე-19 სქემა – “მფრინავდეროვანი” სისტემა. თუმცა მანამდე, როდესაც ელგუჯა მემბარიაშვილი განიხილავდა მე-14 სქემას დარბაზში ხმაური დაიწყო. მოხსენებას აღარავინ უსმენდა. შემდეგ ელგუჯა მემბარიაშვილს სთხოვეს მოხსენება დროებით შეეწყვიტა და გაჰყოლოდა ხელმძღვანელობას ერთი სართულით ქვემოთ – “სასტენდო დარბაზში”.

როდესაც ელგუჯა მემბარიაშვილი შევიდა სასტენდო დარბაზში მას იქ დახვდა მისივე მე-14 სქემის მსგავსად აგებული ათმეტრიანი რეფლექტორი KPT-10. ეს ის KPT-10 იყო, რომელიც 1979 წელს გავიდა კოსმოსში, არასრულად გაიშალა და შემდგომ კოსმონავტმა ვალერი რიუმინმა, რისკის ფასად, მოაცილა იგი ორბიტალურ სადგურს. თუმცა, მის შემქმნელებს სახელმწიფო პრემია მაინც გადაეცათ. ეს სქემა იყო “სრულიად საიდუმლო” და ელგუჯა მემბარიაშვილს არ შეიძლებოდა სცოდნოდა მის შესახებ. ამ ფაქტმა მისი ავტორიტეტი აამაღლა დამსწრეთა შორის. როდესაც მოხსენება დაამთავრა, ელგუჯა მემბარიაშვილს პირველად შესთავაზეს სამუშაოს ხელმძღვანელობა, რომლის წლიური ღირებულება 1 000 000 მანეთს შეადგენდა.


ამ ფაქტს წინ უსწრებდა ის, რომ მაშინ, დიდი კოსმოსური ანტენების დარგში ძირითადი სამუშაო ტაშკენტში, აკადემიკოს ვახიდოვის ხელმძღვანელობით სრულდებოდა. სამუშაომ სრული კრახი განიცადა. თავდაცვის მინისტრი, მარშალი დიმიტრი ფიოდორის ძე უსტინოვი აღშფოთებული იყო. ათეულობით მილიონი მანეთი უშედეგოდ იქნა დახარჯული. ამის შესახებ მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება მოექებნათ ახალგაზრდა პიროვნება, რომელიც ახალი მიდგომით დაიწყებდა საქმეს. ეს დავალება მან თავის მოადგილეს შეიარაღების დარგში, არმიის გენერალს ვიტალი მიხეილის ძე შაბანოვს მისცა. შაბანოვმა კი სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალურ კონსტრუქტორს, ანატოლი ივანეს ძე სავინს დაავალა ამ საქმის მოგვარება (პირველადი ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მაშინდელ, ჯერკიდევ, პრორექტორს, აკადემიკოს თეიმურაზ ლოლაძეს მიაწოდა სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორ იური ივანეს ძე დანილოვმა, მისი თბილისში ვიზიტის დროს – 1979 წლის ივლისში. შემდგომში, აღნიშნული ინფორმაცია გაიმეორა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, არმიის გენერალმა ვიტალი შაბანოვმა მოსკოვში, ЦНПО «Комета»-ში დახურულ სამეცნიერო კონფერენციის დროს, როდესაც მას ანატოლი სავინის კაბინეტში შეხვდა ელგუჯა მემბარიაშვილი).


აღნიშნულ პერიოდში ელგუჯა მემბარიაშვილი, თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის დავალებით, მოსკოვში, სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში ატარებდა კვლევებს საიერიშო გასაშლელი ხიდების შექმნის ახალ პრინციპებზე. მის გამოგონებებში ასახული იყო, თუ როგორ შეიძლებოდა მცირე სატრანსპორტო პაკეტიდან, კონსტრუქციის გაშლის გზით, მიეღწიათ დიდი მალის კონსტრუქციის შექმნისათვის.

სწორედ აღნიშნული გამოგონებები, რომლებსაც ჰქონდათ გრიფი “საიდუმლო”, სპეციალური ძიების შედეგად, ცნობილი გახდა ანატოლი სავინის მოადგილისათვის, პროფესორ იური დანილოვისთვის. სწორედ ამან განაპირობა ძირითადი ორიენტირი ელგუჯა მექმარიაშვილისთვის, პირველ ეტაპზე, სამუშაოების შეთავაზებისა გასაშლელი კოსმოსური ანტენების დარგში, შემდგომში კი, ელგუჯა მექმარიაშვილი გახდა სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარ კონსტრუქტორი.

1990 წლამდე, ვიდრე ელგუჯა მექმარიაშვილის მოღვაწეობა არ იყო საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, კომპეტენციის სფეროში, მისი სამეცნიერო კვლევები, ძირითადი გამოგონებები, პროექტები და მით უმეტეს მიღწეული შედეგების რეალიზაცია სახელმწიფო-სტრატეგიულ პროგრამებში მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. მას საქართველოში იცნობდნენ, როგორც მეცნიერს, მაგრამ რეალურად არ იყო ცნობილი მისი მიღწევების სამეცნიერო შედეგები და მიზანდასახულობები, მით უმეტეს არა მხოლოდ ტექნიკის, არამედ სამხედრო მეცნიერების დარგში.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ელგუჯა მექმარიაშვილი, მხოლოდ ერთხელ, “არასაიდუმლო”, ისიც განსაკუთრებულ კონფერენციაზე – მოსკოვში “გაგარინის კითხვაზე” იქნა მიწვეული. მისი მოხსენება კოსმოსური კომპლექსების შექმნის ზოგად პრინციპებს შეეხებოდა.





1990 წლამდე, და გარკვეული პერიოდი მას შემდეგაც, ელგუჯა მეძმარიაშვილს, მისი სამუშაოების მაღალი რანგით საიდუმლოების დაცვის მოთხოვნით, განსაკუთრებული და კონტროლირებადი შემთხვევების გარდა, აკრძალული ჰქონდა არა მარტო საზღვარგარეთ გამგზავრება და საბჭოთა კავშირში ნებისმიერი კონტაქტი უცხოელებთან, არამედ მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულების ნებისმიერი პუბლიკაცია ღია ლიტერატურაში – სტატიების, მონოგრაფიებისა და კონფერენციების მასალების სახით.

1990 წელს ელგუჯა მეძმარიაშვილი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან, აკადემიკოს ბორის პატონთან (უკრაინა) და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს იური სემიონოვთან (რუსეთი) ერთად, სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე, სევასტოპოლში გამოდის მოხსენებით – Теоретические и экспериментальные исследования раскрытия и динамики протяженных кольцевых конструкций на грузовом корабле «Прогресс-40».

ელგუჯა მეძმარიაშვილის პირველი სამეცნიერო მონოგრაფის საიდუმლოების გრიფის გარეშე “Транформируемые системы”, რომელიც მხოლოდ განზოგადოებულ თეორიულ საფუძვლებს მოიცავს, გამოიცა 1990 წელს.

1993 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა ელგუჯა მეძმარიაშვილის და თანაავტორების სტატია – Greeting and Testing Large Space Structures of High Precision Surface. Space Power, Volume 12, Number 1-2. სტატიაში, პირველად საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებში, გავიდა მიმოხილვითი ინფორმაცია საგურამოს უნიკალური სასტენდო კომპლექსის, კოსმოსური ანტენების, მიწისზედა მობილური ანტენების და დასაშლელ-ასაწყობი ხიდების შესახებ, რომლებიც საქართველოს კოსმოსურ ნავებობათა ინსტიტუტის მიერ იყო შექმნილი.

ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი მასალებისა და შრომებისათვის “საიდუმლო” და “სრულიად საიდუმლო” გრიფების ეტაპობრივი მოხსნის მხრივ ნიშანდობლივი გახდა, რუსეთის მხარის ცალმხრივი გადაწყვეტილება და გაზეთ “Деловой Мир”-ის 1995 წლის 8-14 მაისის ნომერში გამოქვეყნებული სტატია – Спутниковая система связи «Зеркало-КС».

სახელგანთქმული მეცნიერებისა და სამხედრო-კოსმოსური დარგის სპეციალისტების სტატიიდან ცნობილი გახდა, რომ ელგუჯა მექმარიაშვილის კვლევებისა და სპეციალური სამუშაოების შედეგების მიხედვით განხორციელებული ცალკეული სახელმწიფო-სტრატეგიული თავდაცვითი პროგრამები და შექმნილი ორბიტალური სამხედრო-საინჟინრო კომპლექსები, რუსეთ-ამერიკის სამეცნიერო კონტაქტებით, უკვე 1992 წლიდან შეისწავლებოდა ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებსა და NASA-ს ექსპერტების მიერ, უფრო მეტიც, სტატიაში აღნიშნულია, რომ სამუშაოთა პირველი შეფასებები 1993 წელს გამოქვეყნდა სამეცნიერო ანგარიშების კრებულში JTEC/WIEC Panel on Satellite Telecommunication – ტომი 2, სადაც საქართველოსთვის მოულოდნელად, ექსპერტები ისე “შორს” წავიდნენ, რომ განმარტეს: «30-метровая космическая антенна – выдающийся пример русской передовой технологии».

ეს ის 30-მეტრიანი კოსმოსური ანტენაა, რომელიც ელგუჯა მექმარიაშვილის ავტორობით, მისი გამოგონებებით და ქართველი სპეციალისტების მიერ დამუშავებული საქართველოში დამზადდა და საქართველოში გამოიცადა. ამდენად, ფრაზა “თვალსაჩინო მაგალითი რუსული მოწინავე ტექნოლოგიისა” აუცილებელს ხდიდა სათანადო დასკვნების გაკეთებას და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების მიხედვით მოქმედებას – რაც განხორციელდა კიდევ.

- საერთოდ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ელგუჯა მექმარიაშვილის სამუშაოების და მისი ინიციატივით ჩამოყალიბებული სამეცნიერო-აკადემიური ორგანიზაციების მიმართ იჩენდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შემდეგ განსაკუთრებული მოთხოვნებით გაგრძელდა ურთიერთობა სახელმწიფოს უშიშროების სამსახურთან.

1981 წლიდან ელგუჯა მექმარიაშვილი, როგორც პიროვნება, როგორც მეცნიერი და სპეციალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ოფიციალურად აყვანილი იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განსაკუთრებულ კონტროლზე. მას, ასევე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მხრიდან, ოფიციალურად ევალებოდა უმაღლესი საიდუმლოების გრიფის მქონე პიროვნების და სათანადო თანამდებობის პირის შესაბამისი მოქმედებები, რომლებიც განსაზღვრული იყო სათანადო ნორმატიული და დირექტიული მასალებით, დოკუმენტებით, ბრძანებებით და გადაწყვეტილებებით. ყველაფერი ეს გულისხმობდა ელგუჯა მექმარიაშვილის მიმართ, სახელმწიფო უშიშროების სფეროში, წაყენებული მოთხოვნების მკაცრ და განუხრელ დაცვას და ამასთან ერთად, ანიჭებდა მას სათანადო უფლებებს.

1981–1986 წლამდე სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს სამუშაოების კონტროლს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან ახორციელებდნენ: პოლკოვნიკი მურმან შელია, პოლკოვნიკი თედო ბარკალაია, პოლკოვნიკი თამაზ სალუქვაძე, პოლკოვნიკი კოტე ბასილაშვილი, პოლკოვნიკი ზაზა მაზმიშვილი – შემდგომში გენერალ-მაიორი.

1984 წლიდან შეიქმნა ლეგენდები, მათ შორის, საგურამოს სასტენდო კომპლექსს ეწოდა – “საგურამოს ასტროფიზიკური ლაბორატორია”, რაც წარმოადგენდა მის “ღია” დასახელებას.

1987 წლიდან ელგუჯა მეძმარიაშვილს დაენიშნა მოადგილედ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები: პოლკოვნიკი ბიჭიკო გოქსაძე 1987.02. – 1987.04; პოლკოვნიკი ლევან შანიძე 1987.05 – 1991.01 – აღსანიშნავია, რომ იგი ამ თანამდებობაზე გადმოიყვანეს თბილისის, მაშინდელი კალინინის რაიონის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსის თანამდებობიდან. ინსტიტუტში საშტატო თანამდებობებზე, ასევე, გამოგზავნილი იქნა სახელმწიფო უშიშროების სხვა თანამშრომლებიც.

სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს, რომელიც საქართველოში ფიქსირდებოდა როგორც საქართველოს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სამინისტროს სტრუქტურად, გააჩნდა, ასევე, სხვა სტატუსი – ЦНПО «Комета»-ს თბილისის ქვედანაყოფი. ეს სტატუსი მინიჭებული ჰქონდა საგურამოს სასტენდო კომპლექსს, რომელიც ფორმალურად წარმოადგენდა საკავშირო რადიომრეწველობის სამინისტროს ობიექტის – «ЭВТ»-ს სტრუქტურასაც. «ЭВТ»-ს დირექტორი იყო იური მეიშვილი.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, უკვე საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში, ელგუჯა მეძმარიაშვილის მოადგილეები იყვნენ: პოლკოვნიკი დავით ჩიხლაძე 1996.02 – 1997.10; პოლკოვნიკი გიორგი ბახტაძე 1990.03 – 1999.11; ისევ პოლკოვნიკი – შემდგომში კი გენერალ-მაიორი დავით ჩიხლაძე 1999.11 – 2002.02; პოლკოვნიკი გიორგი გლოველი 2002.05 – 2004.06.

მოცემულ ეტაპზე, ინსტიტუტის საქმიანობას შესაბამისად აკონტროლებს საქართველოს სათანადო ორგანო.

- 1995 წელს, რთული ბარიერების დაძლევით, გერმანიამ და საქართველომ ერთობლივად გამოსცა ელგუჯა მეძმარიაშვილის მონოგრაფია – «Трансформируемые конструкции в космосе и на земле», რომელიც დაეგზავნა კოსმოსური ტექნიკის დარგში მომუშავე საზღვარგარეთის ქვეყნების ყველა კომპანიას, კონკრეტულ მეცნიერებს და კონსტრუქტორებს, რაც გახდა საქართველოს პრესტიჟის ამაღლების წინაპირობა საერთაშორისო არენაზე.

1995 წლიდან დიდი დრო არ გასულა. მიუხედავად ამისა, მაღალტექნოლოგიური და მითუმეტეს, საიდუმლოების მაღალი რანგის გრიფებით დამძიმებულ დარგში, რეალური და დასრულებული კვლევების და მათი შედეგების საერთაშორისო მასშტაბით სრულფასოვანი წარდგენა ელგუჯა მეძმარიაშვილმა სრულად მოახერხა.

ელგუჯა მეძმარიაშვილის სამუშაოები, კონსტრუქციები და შექმნილი კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკა, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში, აღიარებულია და მოხსენიებულია საზღვარგარეთის ჟურნალებში, საინჟინრო-ტექნიკური დარგების ენციკლოპედიურ გამოცემებში, კომპანიათა საპროგრამო წინადადებებში და მათ სარეკლამო მასალებში.

• ელგუჯა მექმარიაშვილის 250-ზე მეტი სამეცნიერო შრომიდან, რომელიც მოიცავს მონოგრაფიებს, სტატიებს და გამოგონებებს, 5 ძირითადი მონოგრაფია, სამეცნიერო კვლევების და აკადემიური მოღვაწეობის შედეგების 20 უმნიშვნელოვანესი დანერგვა და ახალი კოსმოსური და მიწისზედა საინჟინრო კომპლექსების კვლევები წარმოადგენენ საეტაპო მნიშვნელობის მისი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს.

აღნიშნული სამუშაოები ასახულია:

I – მონოგრაფია. თანაავტორების გარეშე – «Трансформируемые системы». Академия Наук СССР. 1990 г.

II – მონოგრაფია. თანაავტორების გარეშე – «Трансформируемые конструкции в космосе и на земле». Изд. «VALEMAR». Бремен. Германия-Грузия. 1995 г.

III – მონოგრაფია. თანაავტორების გარეშე – «Механика космических комплексов». Изд. «Технический университет». Тбилиси, 2009 г.

IV – მონოგრაფია. თანაავტორების გარეშე – “საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები”. გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი, 2006 წ.

V – მონოგრაფია. თანაავტორების გარეშე – “ახალი მიდგომები სამხედრო თეორიის საკითხებისადმი”. გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი, 2009 წ.

VI – ელგუჯა მექმარიაშვილის სამეცნიერო კვლევების და აკადემიური მოღვაწეობის შედეგების 20 უმნიშვნელოვანესი დანერგვა საზღვარგარეთ და საქართველოში.

VII – ელგუჯა მექმარიაშვილის მიერ კოსმოსური და დედამიწისეული ახალი საინჟინრო კომპლექსების შექმნა.

I – მონოგრაფია «Трансформируемые системы».

მონოგრაფიაში განხილულია ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია. მონოგრაფიას ანალოგი არ გააჩნია.

ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები:

- ტრანსფორმირებადი სისტემების საერთო ნიშნები და თვისებები.
- გასაშლელი საინჟინრო სისტემების ფორმათწარმოქმნის პროცესები.
- ტრანსფორმირებადი სტრუქტურები.
- ტრანსფორმირებადი სისტემების გეომეტრია.
- ტრანსფორმირებადი სისტემების ძირითადი პარამეტრები.
- ფორმათა ტრანსფორმაციის ტიპები და სახეობები.
- ტრანსფორმირებადი სისტემების დინამიკური სტრუქტურა.
- ტრანსფორმირებადი სისტემების კლასიფიკაციის საკითხები.
- კარკასულ-საყრდენიანი ტრანსფორმირებადი სისტემების აგების საერთო პრინციპები.
- საყრდენი კარკასების სტრუქტურა.
- შევსებისა და საკონტაქტო ზონის სტრუქტურა.
- ექსტრემალური პირობების მოთხოვნების შესაბამისად კოსმოსური და დედამიწაზე ბაზირების ნაგებობების შექმნის კონცეპტუალური საკითხები.

II – მონოგრაფია «Трансформируемые конструкции в космосе и на земле».

მონოგრაფიის წინასიტყვაობა ეკუთვნის სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალურ კონსტრუქტორს, აკადემიკოს ანატოლი ივანეს ძე სავინს.

მონოგრაფიაში განხილულია:

- კონსტრუქციათა ფორმების წარმოქმნა;
- ტრანსფორმირებადი ფორმები არქიტექტურასა და მშენებლობაში;
- კოსმოსური რადიოტელესკოპები;
- ორბიტული ძალოვანი კარკასები;
- კოსმოსური მზის ბატარეები, ამრეკლავები და კონცენტრატორები;
- ორბიტალური სადგურები;
- ტექნოლოგიური ენერგეტიკული მოედნები;
- მექანიკური კონსტრუქციები;
- კოსმოსური საინჟინრო კონსტრუქციების და რადიოტელესკოპების გამოცდა და აპრობაცია მიწისზედა პირობებში;
- მიწისზედა გადაადგილებადი რადიოტექნიკური კომპლექსები;
- გასაშლელი ხიდები;
- სწრაფადაგებადი შენობები და ნაგებობები;
- ტრანსფორმირებადი დიდმალიანი შენობები;
- კონსტრუქციათა ექსპერიმენტული გამოკვლევა;
- სივრცული დიდმალიანი დახურვები;
- რთული ტრანსფორმირებადი სისტემების კინეტიკა;
- სასოფლო სამეურნეო ნაგებობები.

III – მონოგრაფია «Механика космических комплексов».

მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტები: დოქტორი კონსტანტინე ოდიშვილი და დოქტორი კონსტანტინე ჩხიკვაძე.

წიგნში რეცენზენტების მიერ განმარტებულია:

Космические системы глобальной и региональной связи широкого спектра, телекоммуникации, обнаружения и слежения баллистических ракет, определения координат передвижения подводных лодок и другие, состоят из орбитальных и наземных комплексов.

Среди них особо распространены радиотехнические космические комплексы на базе больших разворачиваемых рефлекторных антенн.

Комплекс представляет собой автономный космический спутник, построенный на базе больших разворачиваемых рефлекторных антенн. В данном случае силовое кольцо рефлектора функционально представляет каркас спутника, на который монтируются составляющие компоненты космического аппарата, в том числе и двигатели, солнечные батареи и другие.

В монографии Э.В.Медзмариашвили рассматриваются вопросы механики, как для большого разворачиваемого рефлектора, так и всего космического комплекса, в случае воздействия на него сил ориентации и стабилизации, возникающих от работы двигателей.

В монографии Э.В.Медзмариашвили рассмотрены вопросы механики космических комплексов - статика, кинематика и динамика. Особое место уделяется температурным воздействиям и образованию больших поверхностей двойкой кривизны и способу аппроксимации поверхности.

Актуальным является определение механических параметров комплекса не только в стадии функционирования, но и при трансформации - разворачивания больших рефлекторов от транспортного пакета до завершения её формообразования в виде рефлектора.

В монографии особое место уделено геометрическим параметрам формообразования поверхности двойкой кривизны, которая изготавливается из металлического сетеполотна.

IV – მონოგრაფია “საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები”.

წიგნის ოფიციალური რეცენზენტები: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯემალ ესაიაშვილი**; გენერალ-ლეიტენანტი **გურამ ნიკოლაიშვილი**; გენერალ-ლეიტენანტი **ომარ ლეკვეიშვილი**; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამაზ ჭურაძე**.

საქართველოში მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების მშენებლობა. ეს არის მრავალმხრივი, რთული და ინტენსიური პროცესი, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახმელეთო ჯარების, საჰაერო და საზღვაო ძალებისა და სპეციალური დანიშნულების ნაწილების ერთობლივ, ურთიერთშეთავსებულ და ურთიერთჩანაცვლებად გამოყენებას.

მნიშვნელოვანია თეორიული საფუძვლები სამხედრო-საინჟინრო დარგისა, რომელიც აერთიანებს ორ ურთულეს პარამეტრს – სამხედრო ხელოვნებას და საინჟინრო ხელოვნებას. წიგნის შექმნის დროს გათვალისწინებულია ისიც, რომ საქართველოს მოუწევს საბრძოლო მოქმედებებში და დაუგეგმავ ოპერაციებში NATO-სთან ინტეგრირებული მოქმედებები და კოალიციურ ძალებში მონაწილეობა.

ასეთი ლოგიკით და იდეოლოგიით შეიქმნა „საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები“. მასში გადმოცემულია სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარების ისტორია; ასახულია აღნიშნული დარგის მიზნები, ამოცანები და სტრუქტურა; განხილულია დამოკიდებულება სამხედრო-პოლიტიკური და უსაფრთხოების ერთიანი სივრცის ფაქტორებთან, ასევე, განმარტებულია საქართველოს პირობებში ოპერაციების ჩატარების პრინციპები და შესაძლებლობები.

განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ერთიან საინჟინრო უზრუნველყოფას, როგორც სამოქალაქო და სამხედრო ფუნქციას, რომელიც გამოიყენება სამხედრო მიზნებისათვის.

წიგნში ასევე განხილულია დარგები, რომლებიც ერთის მხრივ, აუცილებელია სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისათვის და მეორეს მხრივ, მათი განვითარება შესაძლებელია საქართველოში.

მნიშვნელოვანი ნაწილი წიგნში უკავია სამხედრო ხელოვნების იმ საკითხების ახლებურ ხედვას, რომლებიც აქტუალურია საქართველოსთვის.

წიგნში ასევე, შეტანილი და განხილულია ცნობილი საკითხები საზღვარგარეთული ლიტერატურიდან, რომლებიც აუცილებელია იყოს საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინაში, ოღონდ საქართველოს რეალობისადმი ადაპტირებულად.

ნაშრომი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს თავდაცვის სისტემაში ტერიტორიული დაცვის ფუნქციონალური მიმართულებების ძალების მართვის, სტარტეგიული ობიექტების კლასიფიცირების, მათი მონაცემთა ბანკის შექმნის და ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის სრულმასშტაბიანი ფორმირების პრინციპებთან.

V – მონოგრაფია “ახალი მიდგომები სამხედრო თეორიის საკითხებისადმი”.

წიგნის ოფიციალური რეცენზენტები:

გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი და დოქტორი, ვიცე-პოლკოვნიკი გრიგოლ დანელია

რეცენზიაში აღნიშნულია – “ . . . მონოგრაფიის მნიშვნელობა, რომელიც საქართველოში შეიქმნა ცდება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს და იგი მნიშვნელოვან ნაშრომად უნდა ჩაითვალოს სამხედრო თეორიის დარგში.

ავტორი სისტემურად და სამხედრო ხელოვნებისათვის სრულიად ოპტიმალურ ფარგლებში, განსაკუთრებული მიდგომით განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მოწინააღმდეგე მხარეების ბრძოლისუნარიანობა; მებრძოლი სისტემის დინამიკური და გეომეტრიული პარამეტრები; არაპირდაპირი მოქმედებების დინამიკური პროცესების სისტემატიზაცია; სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების ახალი კონფიგურაცია და სამხედრო დაგეგმარების სივრცის მოდელი.

აღნიშნული საკითხები სამხედრო მეცნიერებაში ერთ-ერთ პრიორიტეტულად არის აღიარებული, რადგანაც ისინი წარმოადგენენ საწყის პოზიციას სამხედრო დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ამასთან, ისეთი საკითხები, როგორიცაა არაპირდაპირი მოქმედებების დინამიკური პროცესების სისტემატიზაცია და სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების ახალი კონფიგურაციები განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ რეალობაში. ეს ნაკარნახევია თანამედროვე ომების ფორმით და შინაარსით, რომელიც არსებულ შეხედულებებთან წინააღმდეგობაში მოდის . . . “.

VI – ელგუჯა მექმარიაშვილის სამეცნიერო კვლევების და აკადემიური მოღვაწეობის
შედეგების 20 უმნიშვნელოვანესი დანერგვა საზღვარგარეთ და საქართველოში.

1. Наземная, быстроперебазируемая, разворачиваемая антенна диаметром 12 метров. (სრულიად საიდუმლო*). დანერგვის ფორმა – 2 **.
2. Космическая, крупногабаритная, разворачиваемая рефлекторная антенна диаметром зеркала 30 м. (სრულიად საიდუმლო*). დანერგვის ფორმა – 2 **.
3. Наземный стендовый комплекс полномасштабных испытаний и сборки крупногабаритных космических конструкций. (საიდუმლო*). დანერგვის ფორმა – 4 **.
4. Высокогорная база для испытаний наземных конструкций и комплексов на климатометеорологические воздействия (საიდუმლო*). დანერგვის ფორმა – 4 **.
5. Программа – «Новые перспективные направления космической военной техники и формы их реализации». (სრულიად საიდუმლო*). დანერგვის ფორმა – 5 **.
6. Разработка базовой системы математического моделирования трансформируемых космических рефлекторных антенн. დანერგვის ფორმა – 1 **.
7. Создание способов и приспособлений для экспериментальных исследований в условиях гидроневесомости трансформируемых конструкций. დანერგვის ფორმა – 1 **.
8. Создание методики раскрытия и закрепления металлического сетеполотна отражающей поверхности космических трансформируемых рефлекторных антенн на силовом каркасе, а также - Разработка оптимальных схем тентовых, радиопрозрачных укрытий быстроперебазируемых и складываемых наземных антенных сооружений. დანერგვის ფორმა – 1 **.
9. Разработка и создание больших разворачиваемых рефлекторов солнечных лучей. (სრულიად საიდუმლო*). დანერგვის ფორმა – 2 **.
10. Космический, автономный, спутниковый комплекс на базе рефлекторной, 30-метровой антенны повышенной жесткости (სრულიად საიდუმლო*). დანერგვის ფორმა – 3 **.
11. Создание длинномерных конструкций и силовых платформ космического базирования. (საიდუმლო*). დანერგვის ფორმა – 2 **.

12. Конструкция АС – 20 ПМ. Полномасштабные предполетные испытания космической развертываемой кольцевой антенны диаметром 20 метров на развертывание, фиксацию формы и функционирование. (სრულიად საიდუმლო). ЭКСПЕРИМЕНТ «КРАБ» ОСУЩЕСТВЛЕН В ОТКРЫТОМ КОСМОСЕ 3÷5 МАРТА 1989Г. НА ТРАНСПОРТНОМ КОРАБЛЕ «ПРОГРЕСС-40». დანერგვის ფორმა – 4 **.
13. На орбитальной станции МИР в 1991 году была установлена длинномерная ферма в целях повышения маневренности и стабилизации орбитального комплекса – Базовая система конструкции «Софора». Конструкция «Софора» была установлена на орбитальной станции «Мир» в открытом космосе. დანერგვის ფორმა – 4 **.
14. სწრაფადასაგები, დასაშლელ-ასაწყობი ლითონის ხიდი KM-02T. მრავალმალიანი ხიდის სიგრძე 37 მეტრი. დანერგვის ფორმა – 4 **.
15. ევროპული სატელეკომუნიკაციო თანამგზავრებისათვის დიდი გასაშლელი ოფსეტური რეფლექტორული ანტენების შექმნის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა. დანერგვის ფორმა – 2.
16. ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი. დანერგვის ფორმა – 4 **.
17. ქართული კოსმოსური რეფლექტორის ორბიტაზე წარმატებული გამოცდის შედეგების მიხედვით, ევროპული თანამგზავრული კომპლექსებისათვის 12 მეტრი დიამეტრის ოფსეტური რეფლექტორის საკვალიფიკაციო ვარიანტის შექმნის სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური დასაბუთება და ახალი ვარიანტის შექმნის ძირითადი მიმართულებები – პროგრამა. დანერგვის ფორმა – 5 **.
18. გამოგონება - “გასაშლელი პარაბოლური ანტენა”. საქართველოს პატენტი P 2342. დანერგვის ფორმა – 2 **.
19. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის შექმნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო, დარგის განვითარების პროგრამა 1995÷2002 წ.წ. დანერგვის ფორმა – 5 **.
20. საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარების ძირითადი ინტელექტუალური ბაზის შექმნა. 2004-2005-2006 წ.წ. დანერგვის ფორმა – 5 **.

* - სამუშაოს შესრულებიდან 15 წელზე მეტი პერიოდის გასვლის და საქართველოს სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის არაუფლებამონაცვლეობის გამო სამუშაოს გასაიდუმლოების გრიფი მოეხსნა.

** - დანერგვის ფორმა: 1 – მეთოდი ან ტექნოლოგიური მოწყობილობა; 2 – ფუნქციონალური ან საკვალიფიკაციო კონსტრუქცია ან კომპლექსი; 3 – საფრენოსნო ან საშტატო კონსტრუქცია ან კომპლექსი; 4 – კოსმოსში ან დედამიწაზე რეალიზებული კონსტრუქცია ან კომპლექსი; 5 – სამეცნიერო პროგრამა

VII – ელგუჯა მემარიაშვილის მიერ კოსმოსური და დედამიწისეული ახალი საინჟინრო კომპლექსების შექმნა.

1) ახალი თაობის დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის შექმნა.

კვლევები და კონსტრუირება ეფუძნება განსაკუთრებულ პრინციპებს 4 ÷ 25 მეტრი დიამეტრის მქონე კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორის შესაქმნელად. ამ მხრივ, წინა პლანზეა წამოწეული ამრეკლი ეკრანის სიზუსტის პარამეტრების განცალკევება რეფლექტორის ძალოვანი გამშლელი კონსტრუქციის პარამეტრებისაგან.

2) გასაშლელი, სარეკორდო – 48 მეტრი მაღის მქონე, საიერიშო ხიდის და ხიდგამდების შექმნა.

ხიდი გაიდება და ტრანსპორტირდება 1 ტანიდან.

ხიდგამდების მაქსიმალური გაბარიტია — 12 მეტრი.

ხიდის გადასალახ წინააღმდეგობაზე აგების დრო — 7 ÷ 10 წუთი.

ხიდის აიგება ხორციელდება მომსახურე პერსონალის ჯავშანტექნიკიდან გადმოსვლის გარეშე.



მომსახურე პერსონალის რაოდენობა — 3 კაცი.

ხიდის წონა — 20 ტონა.

ხიდის სიგანე — 4,05 მეტრი.

ხიდის მთლიანი სიგრძე — 48 მეტრი.

ელგუჯა მემბარიაშვილის მონობრაჟიები და სამართო რედაქციით გამოცემული ჟიბნები



საინჟინრო საბრძოლო მასალები

შპს 541.427.6.623.4.083.1.623.4.087.623.45.623.446:
623.451.3.771.32

გამოცემულია როგორც მატის ქვეყნების, ასევე რუსული და თურქული ვაშაის ზღუდრელების მონაწილე ქვეყნების დამახასიათებელი საინჟინრო საბრძოლო მასალების საკვლეო ნაშრომები.

სახელმწიფო გარეუნივერსიტეტის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის მშენებლისა და სამხედრო მოსამხურებისათვის – უბრტულ სამხედრო-საინჟინრო დარგის სპეციალისტების, საბრტულ და სპეციალური დარგების საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისთვის, საბრტულ და სამხედრო-საინჟინრო სპეციალისტების პაკეტირებისა და მისტრებისთვის, ასევე სხვა დარტრტულ მკითხველსთვის.

იქვეყნა სამხედრო მენიერებათა ლოქტრინის, ტექნიკური მენიერებათა ლოქტრინის, საქროდელის მენიერებათა აკადემიის წერ-კორესპონდენტის, გერერალ-მაიორ ემესტრიაშვილის საერთო რედაქციით

რედაქციის მონაწილეები:
ტატ. მენ. ლოქტორი, პროფესორი ლმასხრაძე ფრ. შა. მენ. ლოქტორი ეკაველიშვილი

© – “საინჟინრო აკადემია”
ISBN 99940-67-03-6

Э.В. Медзмариашвили

МЕХАНИКА КОСМИЧЕСКИХ
КОМПЛЕКСОВ




Тбилиси
2009.

ელგუჯა მეძმარიაშვილი


ახალი მიღბომები სამხედრო
თეორიის საკითხებისათვის

თბილისი
2009


• საწყის პერიოდში, 1976 წლიდან ელგუჯა მექმარიაშვილი ინტენსიურად იწყებს თავისი კვლევების უმთავრესი მიმართულების — ტრანსფორმირებადი - გასაშლელი სისტემების დამუშავებას. ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია მისი სამეცნიერო ანგარიში, სადაც მოცემულია საიერიშო, 48 მეტრი მაღის მქონე გასაშლელი ხიდის შექმნის დეტალური კონცეფცია. ხიდის აგება ხორციელდება ვერტმფრენების გამოყენებით, რაც ტაქტიკური და ოპერატიული თვალსაზრისით დღესაც მეტად აქტუალურია სამხედრო-საინჟინრო ტაქტიკის მხრივ. ელგუჯა მექმარიაშვილის წინადადებებით სამხედრო-საინჟინრო დარგში 1977 წელს ინტერესდება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინრო ჯარების სარდალი, რომელიც რეკომენდაციას უწევს სამუშაოს შემდგომ წინსვლას.



- იმავე წელს ელგუჯა მექმარიაშვილი კვლევებს აგრძელებს მოსკოვის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში, კონსტრუქციების კათედრაზე. აღნიშნულ პერიოდში, 1977 წლის დასაწყისში, მისი სამუშაოებით დაინტერესდა თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი, რომელმაც მიმართა ქ. ნახაბინოს სამხედრო სამეცნიერო ინსტიტუტს ელგუჯა მექმარიაშვილის სამუშაოების 1979 წლის სამეცნიერო სამუშაოების გეგმაში ჩასმის შესახებ.






- 1980 წელს ელგუჯა მემარიაშვილი, თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე და სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორის, ანატოლი სავინის რეკომენდაციით, სამხედრო-საინჟინრო დარგიდან გადადის სამხედრო-კოსმოსურ დარგში, სადაც მას, მოსკოვსა და თბილისში ეტაპობრივი შეთანხმებით, 1981 წლის დასაწყისში, მინისტრის მონაღვილე ს.ს.ნიკოლსკი უმტკიცებს ტექნიკურ დავალებას დიდი კოსმოსური ანტენების შექმნის სამუშაოებისათვის, რომელთა წლიური ღირებულება შეადგენდა 1 000 000 მანეთს. სამუშაოებს განესაზღვრათ გრიფი “საიდუმლო”.



ელგუჯა მემაღარაშვილის სამეცნიერო და სამხედრო-საინჟინრო მოღვაწეობა



- 1981 წლის აპრილში, მოსკოვში, ორგანიზაცია П/Я А 1172 ელგუჯა მემაღარაშვილის ხელმძღვანელობით ჩადის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს “მშენებლობა“-ს ოფიციალური სამეცნიერო დელეგაცია. ელგუჯა მემაღარაშვილი აკეთებს მოხსენებას, რომელმაც მოწონება დაიმსახურა.



ელგუჯა მექმარიაშვილის სამეცნიერო და სამხედრო-საინჟინრო მოღვაწეობა


• ელგუჯა მექმარიაშვილის სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოებმა სამხედრო-კოსმოსურ დარგში, თავისი გამონმაშობები თბილისშიც ჰპოვა. ამის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოს მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპიბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სპეციალურ სხდომაზე განხილული საკითხი – “О ходе работ по созданию специальных конструкций и испытательных стендов по разработкам Грузинского Политехнического Института” ოქმის მიხედვითაც ჩანს, რომ გარდა ნაგებობების და სტენდების მშენებლობისა, საბჭომ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ოქმის მე-3 პუნქტის მიხედვით მიიღო გადაწყვეტილება:

“3. В связи со строительством стационарной испытательной базы в с. Тба Боржомского района Министерству Автомобильных дорог Грузинской ССР (т. Робиташвили Г.В.):
 – Ускорить работы по реконструкции дороги Боржоми-Бакуриани;
 – обеспечить выполнение запланированных на текущий год работ по строительству дороги Боржоми – с. Тба.”.




ასე იწყება ელგუჯა მექმარიაშვილის სამეცნიერო-საკონსტრუქტორო გზა სამხედრო-კოსმოსური და მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო კომპლექსების შექმნისა, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში.

დიდგაბარიტიანი სივრცითი კონსტრუქციები. საკონკრეტო სამუშაოები





პეტიტორების სკორტის სასახლის, “იუბილეინი”-ს დასურვის პროექტზე გამოცხადებულ კონკრეტულ ელგუჯა მიმდარიაშვილის მიერ წარდგენილი საკონკრეტო სამუშაოს მაკეტი.

ელგუჯა მიმდარიაშვილის გამოგონება –
 Пространственная арочная ферма. А.С. СССР
 № 408999, 7. 09. 1973 г.



მოსკოვის “ლუშნიკევი”-ს სტადიონის ბასაშელე-დასაკეცი დასურვის საკონკრეტო პროექტი, რომელიც ელგუჯა მიმდარიაშვილმა და მისმა თანამგრომლებმა წარადგინეს კონკრეტულად.


კოსმოსური ნაგებობების აწყობისა და გამოცდების მიზნად უნიკალური სასტენდო კომპლექსი დაპროექტდა და აიგო ელგუჯა მემბარიაშვილის მიერ შექმნილი ერთიანი ტექნოლოგიური სქემების და ცალკეული სტენდების უსპიზების მიხედვით




სასტენდო კომპლექსი განლაგებულია საქართველოში, თბილისიდან 27 კილომეტრის დაშორებით, მცხეთის რაიონში, სოფელ საგურამოსთან, არაგვის ველზე.

**კოსმოსური დიდი ზომის ნაბეზობების აწყობისა და გამოცდების მიწისზედა სსსტენდო
კომპლექსის შემადგენლობაშია:**

- უწონადობის ჰიდროიმიტაციის აუზი ფუნქციური მოცულობით 20000 მ³ (დიამტერი 40 მეტრი, სიმაღლე 21 მ).
- დიდგაბარიტიანი ნაგებობის პროექციული აწყობის მრგვალი სტენდი დიამეტრით 40 მეტრი.
- უწონადობის მექანიკური იმიტაციით დიდი ზომის ორბიტალური სისტემების აწყობისა და გამოცდის სტენდი გაბარიტებით 40მ. X 40მ. X40მ.]
- 30 მეტრამდე დიამეტრის კოსმოსური რეფლექტორული ანტენების დედამიწის პირობებში რადიოტექნიკურ პარამეტრებზე გამოცდის მბრუნავი სტენდი.
- საწარმო-ტექნოლოგიური კორპუსი ფართით 1080 მ².
- ორსართულიანი ლაბორატორიული და ადმინისტრაციული კორპუსი.
- სხვა დამხმარე, ენერგეტიკული და საკომუნიკაციო სისტემის შენობა-ნაგებობანი.




ჰიდრობასეინი



მექანიკური უწყონადობის სტენდი













პრეცეზიული სტენდი





რეფლექტორული ანტენების
რადიოპარამეტრებზე ტესტირების სტენდი

ადრეულ ეტაპზე სასტენდო კომპლექსში ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევები, რომელთა მიზანი იყო განსაზღვრა იმ ძირითადი პრინციპებისა, რომლებიც საფუძვლად დაედება შემდგომ სამუშაოებს დიდი ზომის – კოსმოსური რეფლექტორების, გრძელი მზიდი ელემენტების, მზის ბატარეებისა და ძალოვანი კარკასების შექმნას.





ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების და პროექტების საფუძველზე განისაზღვრა პირველი სქემები დიდი კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორისა.



სამთავრობო დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულების პერიოდში კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში – საგურამოს სასტენდო კომპლექსში, ბორჯომის მთიანი ზონის პოლიგონზე და თბილისის სასტენდო დარბაზში მიმდინარე სამუშაოების და მათი შედეგების შესასწავლად და გასაცნობად ოფიციალური ვიზიტით ჩამოდიოდნენ სახელმწიფოს პირველი პირები, ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა და მეცნიერების ორგანიზატორები, ასევე, ცნობილი მეცნიერები.



სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი მიმდინარე სამუშაოების და პერსპექტიული პროექტების შესახებ განმარტებებს აძლევს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სამგზის სოციალისტური შრომის გმირს ანატოლი პეტრეს ძე ალექსანდროვს.




საგურამოს სასტენდო კომპლექსის მშენებლობის შესახებ სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი ესაუბრება მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ევგენი პავლეს ძე ველიხოვს და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს.






სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი, 15-მეტრიანი დიამეტრის მქონე კოსმოსური რეფლექტორის შექმნის შესახებ, ანგარიშს აბარებს მინისტრის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ანდრეის ძე ლოსევს, სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალურ კონსტრუქტორს, აკადემიკოს ანატოლი ივანეს ძე სავინს, გენერალური კონსტრუქტორის მოადგილეს, დოქტორს, პროფესორ იური ივანეს ძე დანილოვს და სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელს დოქტორს, პროფესორ ბორის მიხეილის ძე ზაქსონს.

კოსმოსური რადიოტექნიკური კომპლექსი 30 მეტრი დიამეტრის მქონე გასაშლელი
რეფლექტორით






ექსპერიმენტული და თეორიული კვლევების შედეგად დადგინდა ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური სისტემის საინჟინრო-რადიოტექნიკური კომპლექსის ძირითადი სქემა და მისი კონსტრუქციული გადაწყვეტა, რაც დადასტურდა სასტენდო გამოცდებით როგორც მისი გაშლის, ასევე რადიოტექნიკური პარამეტრების შორეული ზონით ტესტირების დროს.

მოქნილი ღეროებით, “მფრინავი ღეროებით” და თხელკედლიანი ფურცლებით შეღბენილი, წინასწარდაკაბული სტრუქტურის მქონე, რბოლურ-კარკასული 30 მეტრი დიამეტრის მქონე რეზლექტორის ბამოცდები გაშლავა



კოსმოსური რეზოლუციური ანტენის, გაშლის სტენდიდან, რადიოტექნიკურ პარამეტრებზე
უმოწმების, მზრუნავ სტენდზე ბალანსის ეტაპები



• 1988 წლის დასაწყისში. თბილისში, სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში (შემდგომ აღნიშნული ორგანიზაციის უფლებამონაცვლე გახდა საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი) მოხდა ერთი ფაქტი – სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარმა კონსტრუქტორმა, ელგუჯა მექმარიაშვილმა, მიიღო ყველასათვის მოულოდნელი გადაწყვეტილება და სამთავრობო დადგენილებით განსაზღვრულ სახელმწიფო პროგრამაში («Совершенно секретно». Решение Государственной комиссии Совета Министров СССР по Военно-промышленным вопросам № 72. Москва. Кремль. 09.03.1988. 77(10) 09.03.1988) ნაცვლად 1981 წლიდან სრულმასშტაბიანი გამოცდების შემდეგ, პრიორიტეტულად აღიარებული 30 მეტრი დიამეტრის მქონე რეფლექტორის კონსტრუქციისა, რომელიც “მფრინავი ღეროების” გამოყენებით იყო შექმნილი, თბილისის საავიაციო №31 ქარხანას შეუკვეთა სრულიად ახალი სისტემა, რომელიც მან “ფურცლოვანი” კონსტრუქციის პრინციპით შექმნა.

აღნიშნული გადაწყვეტილება განაპირობა ფაქტმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში, და რომელმაც არა მარტო თბილისში, არამედ მოსკოვშიც განაპირობა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაღალჩინოსანთა ყურადღების კონცენტრაცია აღნიშნული ფაქტის მიმართ (დოკუმენტები გრიფით “საიდუმლო” და “სრულიად საიდუმლო”: СКБ-98.с 4.03.88.; СКБ-95.с.с. 4.03.88.; СКБ-169.с. 21.04.88.; მოხსენებითი ბარათი 6.01.88.; СКБ-176.с. 29.04.88; № 21/36-354. 14.03.88; СКБ-197.с. 13.05.88; СКБ-241. 1.08.88; СКБ-169.с. 21.04.88; СКБ-242.с.30.06.88; СКБ-253.с. 15.07.88; п/я В-2077 СКБ 04/3730 с. 16.08.88).

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თავის პუბლიკაციაში (ჟურნალი “არსენალი” № 20 (89) 2–15 ოქტომბერი 2009 წ. 46 გვ.) ელგუჯა მექმარიაშვილი წერდა . . .

კურიოზები, რომლებმაც საქართველოში შეაფერხეს კოსმოსური საიარაღო სისტემების შექმნა

არსენალი
№ 20 (189). 2 - 15 თებერვალი, 2009. სახვარეო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

ამსკლავიანი: მართული „ნიანგების“ იერიში სხივალთან

სუსტი სპიხის კლინიკი გადაწყვეტილება

თავაზნალაღაპულაი თაილინის სახი

გსოფლიოვი ყველაზე გრძელი მართული საიარაღო სიდი

აპერიკული რაკეტისაწინააღმდეგო სისტემის ახალი მოდელი

ოქტომბერში, თბილისში, ევროპული კოსმოსური სააგენტო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ატარებს საერთაშორისო კონფერენციას დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორების დარგში. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს მრავალი ცნობილი მეცნიერი, კონსტრუქტორი და კომპანიების მენეჯერი. ქართველების მოხსენებებს განსაკუთრებით ელოდებიან უცხოელები. ეს კი დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. კონფერენცია ხომ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსურ სფეროში გატანის შეათქვამისა და ეძღვნება.

პირადად მე მრავალ სხვა საკითხთან ერთად კონფერენციას წარუდგენ ორი ახალი კოსმოსური რეფლექტორის პროექტს, რომელთა შექმნას ორი განსაკუთრებული შემთხვევა დაელო საფუძვლად.

მეორე შემთხვევა კი საბჭოთა ეპოქაში მოხდა. განსაკუთრებული სტრატეგიული სისტემების შექმნის საიდუმლოების დაცვას შეცნობაში დღესაც დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს სახელმწიფო, საბჭოთა კავშირის დროს კი ეს გადაქცევილი იყო და სირთულეებსაც ხშირად გვიქმნიდა.

1987 წელი იყო. ჩემი გამოგონების საფუძველზე მთელი ინსტიტუტი, საჟიპოვო ქარხანა და მრავალი ორგანიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ინტენსიურად მუშაობდა ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური სისტემების უმთავრესი ინსტრუმენტის — 30-მეტრიანი რეფლექტორის შექმნაზე.

ამასთან, ეს ის პერიოდი, როდესაც ვარსკვლავური ომების პოლიტიკამ მოიცვა ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. ამდენად სამუშაო სრულიად საიდუმლო რეჟიმით



მიმდინარეობდა, რადგანაც მისი გახმაურება კი არა მარტო პროგრამის კრახს ნიშნავდა, არამედ ამ ფაქტს დიდ პოლიტიკურ რეზონანსსაც შესძენდა.

მალხაზს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საიდუმლო სამუშაოებზე დაშვების ძალიან მაღალი რანგი, ერთი წლის გან-

მავლობაში ურთიერთობა ჰქონია უცხოელ ქალიშვილთან და იგი ცოლადაც მოუყვანია. წესით, უცხოელებთან კონტაქტის ნებისმიერი შემთხვევა მალხაზს რეჟიმის სამსახურისათვის უნდა ეცნობებინა, ხელიც კი ჰქონდა მოწერილი დოკუმენტებზე.

ამ ამბავმა ყველა საგონებელში ჩაგვადგო, ამას ემატებოდა ისიც, რომ ეს ჩვენ, სამსახურმა კი არ გავიგეთ პირველად, არამედ უშიშროების კომიტეტმა, რაც კიდევ უფრო ართულებდა ყველა ჩვენგანის მდგომარეობას.

ყო სხვა და უფრო მნიშვნელოვანი რაღაც, რაც არასდროს მითქვამს: ყველა შემთხვევაში, როგორც უნდა განვითარებულიყო შემდგომი მოვლენები, რეფლექტორული სისტემა, რომელსაც ვქმნიდა და რომელიც რამდენიმე წლის მუშაობის შედეგი იყო, უნდა შეშეცვალა. მე ვერ დაფუძნებდი, რომ საქართველოში შექმნილი პროექტის პრინციპები დროზე ადრე გასულიყო საქართველოდან. ამის შანსი, თუნდაც მინიმალური, უკვე საზეუ იყო.

... ისე, ჩემს ოფიციალურ წერილში არაფერი მითქვამს იმის თაობაზე, რომ მალხაზი ფლობდა საიდუმლოებას კონსტრუქციის ფუნქციონალური გამოყენების შესახებ. ვიცი, რომ ეს გახდებოდა მიზეზი მისი საქართველოდან გაუსვლელობისა, რაც ხელს შეუშლიდა მას ცოლთან შეხვედრაში.

მხოლოდ მოსკოვში ერთ-ერთი თათბირის შემდეგ, სადაც სისტემის შექმნის მდგომარეობა მოვახსენე, გენერალური კონსტრუქტორის მოადგილემ მითხრა: ელგუჯა ვიქტორის ძვე. სწორად მოიქცევი, იმ ახალგაზრდას მიზეზით, რომელიც თქვენთან მუშაობდა და საზღვარგარეთ წაიღო, სისტემა შეცვალე. ასე უფრო დაზღვეული იქნებით შენც და ინსტიტუ-

ტიცო. მოგხვდი, რომ საქართველოს ამბავს მოსკოვამდე მიულწვია.

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. გენერალ-მაიორი ელგუჯა ვიქტორის ძვე. მამბარიაშვილი საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი






ავღნიშნავთ, რომ არსებული “მფრინავდეროვანი” და შეცვლის შემდეგ განხორციელებული “ფურცლოვანი” სისტემა გახდა მსოფლიოში “სავიზიტო ბარათი” კოსმოსური ტექნიკის ქართული სკოლისა.

და მაინც, სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარმა კონსტრუქტორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც სისტემის სქემა შეცვალა – “მფრინავდეროვანი” სისტემა, რომელიც ელგუჯა მეძმარიაშვილმა შექმნა ჯერ კიდევ 1981 წელს («Складной каркас зеркальной антенны». Приоритет изобретения 20.07.1982. Авторское свидетельство № 1072711. 8.10.1983), 1988 წელს გამოყენებული იქნა ტანვარჯიშის დარბაზის 93 მეტრი და სპორტული არენის 120 მეტრი დიამეტრის მქონე ნაგებობის დახურვებისთვის, რომელიც აშენდა სეულში 1988 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის. (Инженерные конструкции. Под редакцией доктора технических наук, профессора В.В.Ермолова. «Высшая школа» 1991 г. Москва. Стр. 313; стр. 314; рис. 8.12).

ძალიან ძნელია დაადგინო აღნიშნული კონსტრუქციული ნახაზები და სქემები, რომელი გზით გახდა ცნობილი უცხოელი არქიტექტორებისა და მშენებლებისათვის, თუ იგი დამოუკიდებლად, ზუსტად ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ შექმნილი კონსტრუქციული სქემის ზუსტი შესაბამისობით, მოუვიდათ აზრათ სხვა ქვეყნების სპეციალისტებს.


მოცემულ ეტაპზე ელგუჯა მეძმარიაშვილი ESA – ევროპული კოსმოსური სააგენტოს კონტრაქტით ამუშავებს ახალი თაობის დიდ გასაშლელ კოსმოსურ რეფლექტორს, სადაც მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ სხვა მიღწევებთან ერთად წინა პლანზე წამოწეულია “მფრინავი დეროების” გამოყენების იდეა, ოღონდ განსხვავებული და თანამედროვე პრინციპების მიხედვით.

კოსმოსური ნაბეზობების გასაშლელი კალოვანი კონსტრუქცია “კოლხეთი”




ორბიტალური სადგურების მზიდი კარკასებით და გრძელი გასაშლელი ელემენტებით აღჭურვისათვის შეიქმნა სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება სასტენდო კომპლექსში როგორც მექანიკური უწყონადობის, ასევე ჰიდროუწყონადობის პირობებში.

კოსმოსური გასაშლელი კალოვანი კონსტრუქციის – “ივერიის” გამოცდა უწონადობის
ჰიდრომიტაციის აუზში








ორბიტებზე მზიდი კარკასების აგების მეთოდები დამუშავდა პლანეტა მარსის ექსპედიციასთან დაკავშირებით, რაც სრულიად განსაკუთრებული სქემით განხორციელდა.

კოსმოსური სისტემების კალოვანი კარკასის
ბასაზღელ-ასაწყობი კონსტრუქციის პროექტი





შემოთავაზებული იქნა ახალი გადაწყვეტები ორბიტალური კონცენტრატორების, რეფლექტორებისა და გრძივი ელემენტების.



კოსმოსური ბასაფლელი, 15 მეტრი დიამეტრისა და პნევმო-ხისტი კონსტრუქციის მქონე რეფლექტორი




კოსმოსური რადიოტექნიკური ავტონომიური თანამგზავრული სისტემა და მისი აგების საბაზო
ბასაშლელი რეფლექტორი დიამეტრით 30 მეტრი



საქართველოში შეიქმნა კოსმოსური სისტემის 30 მეტრი დიამეტრის მქონე ავტონომიური თანამგზავრული საინჟინრო-რადიოტექნიკური კომპლექსი, რომელიც ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული ფიქსაციის და წყალქვეშა ნაგებობის გადაადგილების კოორდინატების განსაზღვრისათვის იყო განკუთვნილი. მათ ფუნქციებში, ასევე, შედიოდა მრავალი სატელეკომუნიკაციო სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციები.

აღნიშნული სისტემის იდეოლოგია, მისი გადაწყვეტა და კონსტრუქცია განხილული და მოწონებული იქნა NATO-ს კონფერენციაზე. დიდი ზომის რეფლექტორული ანტენების აგება ავტონომიური თანამგზავრის პრინციპით, რის საშუალებასაც თვით ქართული რეფლექტორი იძლევა, NATO-ს სპეციალისტებმა აღიარეს, როგორც სრულიად განსხვავებული მიდგომა დიდი ზომის რეფლექტორების ბაზაზე კოსმოსური თანამგზავრების შექმნისა (NATO – Meeting. Orlando. Florida. USA. 2000; და “Use of Space Systems in Integrated Military Missions”. Lisbon, 2001. NATO).




საქართველოს თანამონაწილეობა კოსმოსურ პროგრამებში



ორბიტაზე გავიდა კონსტრუქცია “კრაბი”, რომელიც “პროგრეს-40”-ზე იყო დამონტაჟებული და მისი სრულმასშტაბიანი გამოცდები ჩატარდა საგურამოს სასტენდო კომპლექსში.



ორბიტალური სადგურის რესურსის გაზრდისათვის “თბილავიამშენში” დამზადდა კონსტრუქცია “სოფორას” აწყობის საბაზო სისტემა, რომელიც გატანილი იქნა კოსმოსში და დამონტაჟდა ორბიტალურ სადგურზე.




“სოფორა”-ს აბეზის საბაზო ნაწილის ელემენტების კომპლექტი




დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნის გზაზე მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, გერმანულ კომპანია “დაიმლერ ბენც აეროსპეის“-თან ერთობლივად გაწეული სამუშაოები. ევროპული კოსმოსური სააგენტოს გენერალური დირექტორი ბატონი ანტონიო როდოტა, თავის წერილში, რომელიც მან საქართველოს ხელმძღვანელობას გამოუგზავნა, აღნიშნავდა ქართველების განსაკუთრებულ წვლილს სტრატეგიული – დიდი ზომის კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორების შექმნაში და ჩატარებულ სამუშაოს წარმატებულად ასახელებდა.


ქართული პოტენციალის შესახებ გერმანული პრესაც აღნიშნავდა, უფრო მეტიც, გერმანელებმა სარეკლამო ბარათიც კი მოამზადეს, სადაც განმარტებულია, რომ საქართველოსთან ერთად მათ შეუძლიათ შექმნან დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორები.



საქართველოში დაიდო ხელშეკრულება გერმანულ კომპანია - “დაიმლერ ბენც აეროსპეის“-თან. ამ თანამშრომლობამ წარმოაჩინა ქართველი სპეციალისტების დიდი უნარი ახალი თაობის კოსმოსური დიდი გასაშლელი რეფლექტორების კონსტრუირების ძირითადი პრინციპების და საფუძვლების შექმნაში. ქართველებმა ევროპისათვის შექმნეს და გამოსცადეს ორი მოდიფიკაცია რეფლექტორებისა.



**ბასაშლელი კოსმოსური ოვსეპური
12-მეტრიანი რეფლექტორები**



პროგრამა განხორციელდა “ღორნიე სატელიტენისტივე –
დაიმლერ ბენც აეროსპეის“-ის შიკვეთით ღა ერთობლივი
სამუშაოებით

ბასაშლელი კოსმოსური ოვსეტიური
12-მეტრიანი რეშლექტორის
